საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი 9 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 205 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 205

ქ. ლანჩხუთში არსდება ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის ორი მილიონი მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება 550 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მან. ე. ი. 550 მან. თითო აქციაზე.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს, და 10—პარასკევს ამა სექტემბერს. ლანჩხუთში: საურთიერთო ბანკში. თფილისში: ც[illegible]ო-ბანკში. ქუთაისში: ვლადიმერ იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ფოთში: ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში: მოსე იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში: ედიხვან თიდიძესთან. სამტრედიაში: სიმონ სპირიდონის ძე ქართველიშვილთან. და ს[illegible]აში კონსტანტინე ჰანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგ. კომიტეტი. (2723—5—5)

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

თავზარდაცემული ანტონ იესეს ძე მამინაიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წუთისოფელს მისი საყვარელი მეუღლე

მარიამ (მანია) აბესალომის ასული მამინაიშვილისა

გამოსვენება ბინიდან პეტრე-დიდის ქ. № 25. ხუთშაბათს, 9 ენკენისთვეს ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 9 საათზე, დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე (2934 2—2)

ღრმად დამწუხარებულნი ელიუსა დიმიტრის ასული და ილიკო ივლიანესძე მაჩულაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი პირველის დედის და მეორის სიდედრის

მარიამ (მანი) აბესალომის ასულის მამინაიშვილის

უდროვოთ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან პეტრე დიდის ქ. № 25, ხუთშაბათ დილის 9 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე (2934—2—2)

სამსონ მალაქიას ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული ასათიანი შვილებით: ელენე, ვლადიმერ და ლეონიდი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველის გერის, მეორის შვილის და დანარჩენთა დაუვიწყარის დის

ნინა ოტიას ასულის აბდუშელიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ოთხშაბათს 8 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს დილის 9 საათზე ტერ-გუკასოვის ქუჩა № 15, ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა ამავე დღეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. (2936 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: მევ პლატონ და სერგო, რძალი ოლინკა და შვილის შვილები: შალვა, ლავრო, ბიძინა, ქეთო და ნუცა ჯინჭველაშვილები ვაუწყებთ ნათესავ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 12 სექტემბერს დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის უძვირფასესის

თეო (თეოდოსია) დ. ასულის ჯინჭველაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ სოფ. საყულიის (ქუთ. მაზრა) მაცხოვრის ეკლესიაში. (2892 1—1)

ხუთშაბათს, 9 ენკენისთვეს დღის 12 საათზე ს. სალვიჩიო-ქალადიდის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში ტრაღიკულად გარდაცვლილ

აუქსენტი (ილარიონი) ანტონის ძე გულუას

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწუხრებული დედა ძმები, დები და სიძეები მიცვალებულისა. (ფ, 2—2)

თფილისის და მისი რაიონის **მებაღეთა კავშირი** ამით აცხადებს მემამულეთა საყურადღებოთ, რომ კვირას 13 სექტემბერს დილის 9 საათზე (მე 5 სამილიციო უბანში ვარანცოვის ქუჩ. № 99) დანიშნულია კავშირის წევრების და ზემოხსენებული მემამულეთა

შეერთებული კრება

სადაც განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) დღიური ქირ-ვარამი, 2) ბაღების იჯარის საქმე, 3) კულტურული მუშაობა მებაღეთა შორის, კავშირი სთხოვს წევრებს, ვინაიდან ამ კითხვების გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს საჭიროა აუცილებლივ დაესწრონ კრებას დანიშნულ დროზე. კრებას დაესწრება მე-6 რაიონიდან ტერელიძე და ბუაჩიძე.

(2924 1—1) კავშირის თავმჯდომარე: **ესაია შუბლაძე.**

ჩაქვის სახელმწიფო მამულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მას აქვს გამოსატანი საკუთარი ტყიდან 500 კუბ. საჟენამდე გამხმარი შარშანდელი მოჭრილი **შეშა.** ამა წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია ხელმეორედ **სად. ჩაქვში** სამმართველოს ბინაზე

საჯარო შეჯიბრება

ცნობების მიღება შეიძლება თფილისში, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში დილის 9—1 საათამდე.

და სად. ჩაქვში მამულის სამმართველო კანცელარიაში ყოველდღე.

გამგეობა,

სად. ჩაქვი.

(2870 4—4)

ცენტრობანკის კონსტანტინეპოლის განყოფილება

ცენტრობანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 12—15 ამა სექტემბერს მიემგზავრებიან კონსტანტინეპოლის განყოფილების დასაარსებლად ბანკის რწმუნებულნი, მმართველი პ. სურგულაძე და დირექტორი ა. გრიგოლია.

რწმუნებულები იღებენ მონდობილებას გაასაღონ სტამბოლის და ევროპის ბაზრებზე ნაწარმოები ჩვენი ქვეყნისა და აგრეთვე შეიძინონ უცხოეთის ბაზარზე მთავრობის, საზოგადო დაწესებულებათა, კერძო ფირმათა და პირთა მონდობილებით სხვადასხვა საჭირო საქონელი.

მოსალაპარაკებლად მიმართეთ ცენტრობანკში (კონსტანტინეპოლის განყოფილება) 10 საათიდან 2 საათამდე.

გამგეობა.

(ნ. 2—2)

ამხ. მკითხველებისა და აგენტების საყურადღებოთ!

12 სექტემბრიდან განახლდება ყოველკვირეული გაზეთის

„სოციალ დემოკრატ“-ის

გამოცემა. ვთხოვთ ამხანაგებსა და პარტიულ ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ თავის გაზეთს ცნობების და წერილების მოწოდებით, გაზეთის გავრცელებით და ფონდის დაარსებით. ადრე ი: ქუთაისი „სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია.

საქ. სოც.-დემ. პარტიის ქუთაისის **სამაზრო კომიტეტის ბიურო.**

(უფ.—7—3)

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

თ. გ. ფილოიანისა

ორთავე სქესისათვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფი-

(2838—10—7)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

გ. ი. ვოლოხი

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33.

(2614—ო.)

ძირს ომი

რამდენი წელიწადი გვქონდა ეს ლოზუნგი აქტუალურ, სამოქმედო ლოზუნგათ! რამდენი წელიწადი ვაგროვებდით ამ ლოზუნგის გარშემო ხალხის მასსებს, რომ ამოგვეფხვრა ისტორიის მსვლელობიდან ეს საშინელებათა სათავე და დასაბამი. ადამიანისაგან ადამიანის გაჟლეტა, ამოწყვეტა, ეს ბარბაროსობის მომავლინებელი, კაცობრიობის დამთრგუნველი და გამნადგურებელი ბოროტება.

ამ ლოზუნგით წარმოიშვა დიდი რევოლიუცია რუსეთის, ამ ლოზუნგის გაღრმავებით მოიპოვეს უმთავრესათ გამარჯვება ბოლშევიკებმა ოქტომბრის დღეებში.

და დღეს ეს ლოზუნგი კვლავ აქტიურ ხასიათს არ კარგავს, პირიქით, ომს, ამ მომაკვდავ ძალას, რომლის სამარეზე შეძლება მხოლოდ ახალი ქვეყნის საფუძველის ჩაყრა, მრავალი ახალი დამცველი გაუჩნდა. მართალია, მას ახლა უმთავრესად სამოქალაქო ომი უწოდეს, ზოგან ის მართლაც ასეთი ხასიათისაა, მაგრამ ბევრგან ის თავის ნამდვილი შიშველი სახითაც ამაყათ გამოიყურება სისხლიანი პირით.

კომუნისტურ რუსეთის უგუნური ადეპტები ომს კლასთა ბრძოლის ერთად-ერთ ფორმათ ნათლავენ, იარაღის არგუმენტს ერთად-ერთ გადამჭრელ მნიშვნელობას აძლევენ. მის გარეშე ყოველივე გადადგმული ნაბიჯი თითქმის მოღალატეობათაც კი მიაჩნიათ მუშათა კლასის და რევოლიუციის წინაშე. ამ რიგათ ომი თუ ზავი, სისხლის ღვრა და შეტაკებანი სახელმწიფოთა შორის, თუ მათი თავისუფალი მეზობლური ცხოვრება და მათ შინაურ საქმეებში ჩაურევლობა— აი ასე სდგას საკითხი.

ერთი სიტყვით ზავი ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. აი იგივე ცხოველმყოფელი ლოზუნგი, რომელიც დღეს ზოგიერთ კომუნისტებს არ მოსწონთ, მაგრამ რომელსაც იგინიც ანგარიშს უწევენ.

თვით ზავი არც წითელ არმიელებში იყო არა პოპულიარული, როგორც კომუნისტების ზოგიერთ საცოდავ თეორეტიკოსებს აქვს წარმოდგენილი. აი „კრასნი ვოინი“ № 153-ში აღნიშნავს, როდის მოეღება ბოლო ომს? დამშეული მუშა, უფართლოდ და უჩექმოდ მყოფი გლეხი ხშირათ იძლევიან კითხვას, როდის გათავდება? წითელ არმიელები ამბობენ, სახლიდან ცნობა მოგვდის, რომ ერთის მინდორი დაუთესავია, მეორეს მუშა ხელი არა ყავს. დაიქანცნენ, დაიმშნენ, ტანისამოსი შემოაცვდათ. ომს უნდა ბოლო მოეღოს“.

ამრიგათ რუსეთის მუშას, გლეხს და წითელ არმიელთაც, რომელთაც კავშირი შერჩენიათ მიწასთან და ქარხანასთან, უნდათ მალე ზავი, უნდათ მშვიდობიანი, აღმადგენელობითი მუშაობა დაიწყონ ეკონომიურ ასპარეზზე.

მაგრამ იმპერიალისტები არ გვასვენებენ, შემოგვძახებენ ომით გიტაცებული კომუნისტები ევროპის იმპერიალისტები უნდა დავამხოთ, მაშასადამე ომი ბოლომდის.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ევროპის იმპერიალისტების დამხობა შეუძლია ევროპის მუშებს და რუსეთის წითელ ჯარს. ამ უკანასკნელის გაწევა ევროპისაკენ პირიქით იწვევს მათი პოზიციის გამაგრებას.

მაშასადამე აქაც, ამ საკითხშიაც წინააღმდეგ შედეგებს იძლევა, ევროპის იმპერიალიზმთან ბრძოლა უფრო რთული და მრავალმხრივ სამუშაოა, ვიდრე თოფზარბაზნებით წასვლა მთელი ევროპის წინააღმდეგ. მაგრამ ერთი მხარის სურვილით ხომ ზავის ჩამოგდება არ შეიძლება. ეს მხოლოდ ბოლშევიკებმა ურჩიეს ერთხელ რუსის ჯარს და ამით სამარცხვინო ბრესტი მიიღეს.

ჩვენ ზავის მომხრე ვართ, მაგრამ ერთ მხარეს საზავოთ განიარაღებას ვერ ვურჩევთ სანამ მეორე მხარეც ზავს არ მიიღებს. და აი ამ მხრივ ევროპის შესახებ საქმე არ დგას სავსებით უიმედოთ. ევროპის მუშათა კლასი, სწორეთ ამ ლოზუნგით გამოდის, და თვით, რუსეთის კომუნისტები ამ მოვლენას სიამოვნებით აღნიშნავენ. საფრანგეთის და ინგლისის მუშები გადაჭრით მოითხოვენ თავიანთ მთავრობისაგან სამხედრო მოქმედებათა დაუყონებლივ შეჩერებას. მოითხოვენ მებრძოლთ არ დაეხმარონ. გერმანიის მუშები ხელს უშლიან მებრძოლთათვის ამუნიციის და იარაღის გადაზიდვას. ისინი აცხადებენ, რომ ზავი სწყურია დანგრეულ ქვეყანას, დასვენება უნდა აწიოკებულ კაცობრიობას. მაშასადამე რუსეთის საბჭოთა მთავრობას უჩნდება ზავის საკითხში დიდი და ძლიერი მოკავშირე. მაშასადამე აქ მის მხრივაც მხოლოდ საზავო სულიერი განწყობილება საჭირო, რომ ომიანობას ბოლო მოეღოს.

ჩვენ არ გვაქვს იმედი ევროპის ბურჟუაზიის, მაგრამ იმედი გვაქვს ევროპის მუშების. ჩვენ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, არც კომუნისტების იმედი გვაქვს. საომარი კილო ჯერ ოდნავათაც არ დაუწევიათ, მაგრამ გვაქვს იმედი რუსეთის მუშათა და გლეხთა მასსის, რომელსაც დღეს კიდევ შერჩენია სწორი პოლიტიკური ალღო და რომელიც „კრასნ. ვოინ“ მისით მოითხოვს ზავს. ამ ძალების ხელიხელ ჩაკიდებულ სიარულს შეუძლია მშვიდობიანობის დამყარება.

შეიძლება ამ მშვიდობიანობისადმი იმსხვერპლოს კომუნისტური პარტიის დღევანდელი ბატონობა. ეს ადვილი მოსალოდნელიცაა. მაგრამ რუსეთის დემოკრატიობით დიდს არაფერს დაკარგავს. შეიძენს კი ბევრ რამეს. შეიძენს მშვიდობიანობას და აღორძინების შესაძლებლობას.

თუ ბოლშევიკები ამ მდგომარეობას ალღოს ვერ აუღებენ, ისინი საბოლოოთ განწირულნი არიან.

ზავი, მშვიდობიანობა ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე—აი ხსნა რუსეთის, და რევოლიუციური ყოველი მონაპოვარის, რომლის გადარჩენა დღეს კიდევ შეიძლება.

ძირს ომი!

შინაური საქმეები

III

ყველა გაიძახის: ცხოვრება გაჭირდა, რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა საფრთხეშია, საქმე კატასტროფამდეა და სხვადასხვა. ყველა გრძნობს რომ საჭიროა „რაღაც ზომების“ მიღება და აი ამ ზომების გამონახვაშია დღეს გართული ყველა პასუხისმგებელი პირები.

ზომების მიღება უეჭველია საჭიროა, მარა უეჭველია ისიც, რომ რაც უნდა ზომები იქნას მიღებული მიზანს ნაკლებათ მიახწევს, თუ პირველ ყოვლისა, თვით მოქალაქეებმა არ შეიგნო და არ შეითვისა დაზოგვა და მომჭირნეობა. აუარებელი სიმდიდრე ინთქება სრულიად უმიზნოთ და უადგილოთ. მოქალაქეთა დიდი ნაწილი სრულიად არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, არ ზრუნავს იმაზე, რომ თავის ცხოვრება ამდენათ შესაძლებელია წინდაწინ გამოანგარიშებაზე ააგოს. სახვალიო თადარიგი სრულიად არ შედის მოსახმარებელთა საგრძნობი ნაწილის ანგარიშში და თუ შედის—ისე სხვათა შორის. ასეთი მომხმარებელი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს, რომ ხანგრძლივი ომის ერთი შედეგთაგანი იყო საერთოდ შრომის ნაყოფიერების დაცემა, მუშათა კლასი, შემქმნელი ყოველგვარი სიმდიდრისა, იმდენათ მოიქანცა, დასუსტდა ფიზიკურათ, რომ დიდი სურვილიც ქონდეს, ვეღარ აიტანს იმდენ შრომას, რომელიც საჭიროა დანგრეული ეკონომიური ცხოვრების აღსადგენათ. დღეს მთელი მსოფლიო კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის შხეფები უეჭველია ჩვენთვის უფრო მწვავე და სამძიმო იქნება.

დღევანდელი მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს ეკონომიური პოლიტიკის სრულ მთლიანობას, მის ერთ ხელში, ერთ დაწესებულებაში თავის მოყრას. ამას გრძნობდენ ხელმძღვანელი წრეები და სწორეთ ამისთვის იქნა დაარსებული მომარაგების სამინისტრო, რომელმაც სძლია ათასგვარი დაბრკოლებანი და ამ საერთო არევ-დარევის ხანაში საქმეები საგრძნობლათ მოაწყო და ეკონომიურ საქმიანობას განსაზღვრული მიმართულება მისცა. მართალია ამ სამინისტროს საქმიანობის წინააღმდეგ ამხედრდა ყველა ჯურის სპეკულიანტები და მათი დამცველები, მარა ეს კიდევ ერთი უდიდესი საბუთია ამ სამინისტროს საქმიანობისა.

სამწუხაროთ ამ სამინისტროს სამოქმედო სფეროში ჩაერია მრავალი სხვა და სხვა ორგანოები და ბაზარზე მის მეტოქეთ გამოვიდენ და რადგან საქონელი ბაზარზე ნაკლებია, ხოლო მყიდველათ გამოდის მრავალი ორგანო, რა თქმა უნდა, ეს უწყობს ხელს ფასების აწევას და ზრდას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ დღევანდელი ფასების ზრდის ერთად-ერთი მიზეზი ეს იყოს. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ დღევანდელ პირობებში აუცილებელია სასტიკი ცენტრალიზაცია და როგორც საგარეო, ისე საშინაო ბაზრის დაქვემდებარება ერთი ორგანოსათვის. ეს ორგანოა მომარაგების სამინისტრო.

პოლიტიკურ საქმიანობაში ჩვენ შევსძელით საერთო მოქმედების ერთ ორგანოში თავის მოყრა. ამან იხსნა ჩვენი ქვეყანა ათასგვარი პოლიტიკური გაჭივრებისაგან. ახლა საჭიროა ეკონომიურ ღონისძიებათა თავის მოყრა, რომ ბოლო მოეღოს როგორც ძალების დაქ აქსვას, ისე უადგილო ქიშპობას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოებს შორის.

განი.

პრესა

ჩვენში ევროპის იმპერიალისტების მოსვლას სიხარულის ჟრუანტელს გვრიდა ჩვენ ნაციონალისტებს. სოციალისტების მოსვლა კი გულზე ბოღმათ აწვებათ და არ იციან ბრაზი როგორ გადმოანთხიონ. „საქართველო“ ნამდვილი შავრაზმულ კილოთი სწერს სტატიაში „რევიზორები“. (საქ. № 94):

„ჩვენში მოდიან სოციალისტები. ვანდერველდე, ჰიუსმანსი, შოუ, მაკდონალდი, რენოდელი, კაუცკი და ყველა ისეთი ადამიანები, რომელთაც დღევანდელ საქართველოში ქართველ წმინდანებზე უკეთ იცნობენ.

ვისაც აქვს დროისა და რაოდენობის შემეცნება, ის უთუოდ შეამჩნევს ჩვენს ევროპიელ სტუმრების შუბლზე, ოდესღაც გაჩირაღდნებულს, დღეს კი მიმქრალ შარავანდედს; წინად, სულ წინად... რომანტიული მყუდროებისა და სიზმრების დროს, ქვეყანას ეშინოდა ამ სახელების, ტახტები ძრწოდენ მათი გაგონებისას; დღეს ეს დრო აღარავის ახსოვს.

ბურჟუაზიული ევროპის კონსტიტუციამ ვანდერველდე და კაუცკი მოაშინაურა, ზოგი პარლამენტში შეიყვანა, ზოგი სამინისტრო სავარძელს გააცნო, ურჩობა დაავიწყა, სიტყვის შებრუნებას გადააჩვია. დღეს თითეულ მათგანს ხელი პორთფელისაკენ მეურბის, აზროვნების მინისტრალიზაცია სტანჯავთ, დიდ-კაცობაზე ოცნებობენ

მოულოდნელი იყო თითქოს ყოველივე ეს, მაგრამ ომმა და რევოლიუციამ უფრო მეტის სიმძაფრით გაანადგურა ცხოვრებისათვის მიუღებელი თეორიები, ვიდრე რეჟიმის ტაძარი, ან დიდი ოკეანის რომელიმე ტრანსპორტი, და შეიქმნა კრიზისი არა მარტო პურისა და ფულისა, არამედ იდეებისა და პრინციპებისაც“.

ამ რიგად გაკუტრებულათ გამოაცხადა რა სოციალიზმი და მისი ლიდერები, „საქართველო“ შეუდგა ჩვენი ს. დ. განქიქებასაც.

„ჩვენი დემოკრატიის ლიდერებმა რაც შეიძლება მეტი გაბედულება უნდა გამოიჩინონ ანგარიშის ჩაბარებისას და თამამად უთხრან სოციალისტ რევიზორებს, რომ ქართული სოციალიზმი ერთხელ დუშეთში მოკვდა, მეორედ ლეჩხუმში, მესამედ ზუგდიდში და ვინც ამდენ სიკვდილს გადურჩა, იმას ტვინის ტუბერკულიოზი შეეყარა“.

იყუჩეთ, ბატონებო, მოიფხანეთ გული. იმპერიალისტური ქუსლები რომ მოსულიყო, ხომ ფეხ ქვეშ გაემებოდით და მუხლებს დაუკოცნიდით. მაგრამ ეს სოციალისტები არ არიან ჩვეული ყურადღება მიაქციონ რეაქციონერული კბილების ღრჭენას. მათთვის საქებარიცაა, რომ თქვენ ასეთი ღვარძლიანობით ეგებებით“.

⁂

„საქართველოს“ რეაქციონერთ მხარს უმშვენებს „მემარცხენე“ „კომუნისტი“. ეს უკაცრავათ პასუხია „გაზეთი“ ა'ე ამკობს სოციალისტთა ლიდერებს:

„რაოდენი გამონაკლისით, თქვენი ახალი სტუმრები იგივე გენერლებია, ხოლო უჯარო და საუდამოთ სახელ გატეხილი რამდენიმე რევოლიუციონურ მუშების წრეებში, საფრანგეთის ბანკირების მოხალისე ნოქარი, ბელგიის კაროლის უქვეშევრდომილესი მინისტრი, ყოფილი თეორეტიკოსი მარქსიზმის და ახლა ამ მარქსიზმის ფეხით გამთელავი და სხ. ასეთები— აი მენშევიკების სტუმრები. მარა მათი კაროჟნები მაინც დამღერიან „რა კარგია ჩაის ვარდის“ ხმაზე.

ვის აუხვევთ თვალს ახლა და დაარწმუნებთ, რომ გენერლების მაგიერ თქვენ გესტუმრებიან ახლა სულ სხვა ქვეყნის, სულ სხვა მსოფლმხედველობის ხალხი—რენოდელების, ვანდერველდების და თვით კაუცკის სახით? რომელ მუშურ საფრანგეთის წარმომადგენელია მაგალ. რენოდელი? ან რომელ გერმანელ მუშების დელეგატია კაუცკი, ის კაუცკი, რომლის სახელის ხსენებაზე გერმანელი მუშები კისრის ტეხით აგდებენ ტრიბუნიდან ორატორს, რომელმაც გაბედა მისი ხსენება?“ (კომუნისტი № 38).

რა არის ეს? ნამუს-გარეცხილობა თუ ავლაბრული დედაბრის „შეკურთხება“? რა უნდა ელაპარაკო ასეთ ხალხს?

⁂

„საქართველო“ სიხარულით ცას დაეწია, როცა ჩვენ თვითკრიტიკას მოვკიდეთ ხელი, ჩვენს მუშაობას გადავხედეთ, მისი ნაკლი აღვნიშნეთ და მათ გამოსწორების საჭიროებაზე მთავრობას მივუთითეთ.

აი ხომ ჩვენ ვყოფილვართ მართალი როცა ვამბობდით, თქვენი პოლიტიკა უვარგისია და იგი უნდა შეიცვალოსო, გაიძახის გაზეთი:

„მოიხდის თუ არა ბოდიშს ქართველი ერის წინაშე გაზეთი „ერთობა“ და მისი პარტია, რომ ამდენი ხანი ატყუებს იგი, ასეთი დიდი ზარალი მიაყენეს?“ (საქ. № 94).

რაში გამოიხატა ეს მოტყუება? გაზეთის აზრით ეს მოტყუება იმაში მდგომარეობს, რომ თურმე „მართველი პარტია ყოველთვის გვიმტკიცებდა, რომ ყველაფერი თავის რიგზეა.“

აი ეს ბრალდება სრული სიყალბეა, სწორეთ „საქართველოს“ მიერ მოგონილი, მხოლოდ ბურჟუაზიული მთავრობის ნიშანდობლივი თვისებაა ცუდს ხელი დააფაროს და დაქცევასაც რომ ხედავდეს, მაინც იძახოს: „ყველაფერი რიგ-

დღეს

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. ყირიმის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა.

რუსეთის დელეგაციის წევრად, რომელმაც საზავო მოლაპარაკება უნდა აწარმოვოს პოლონეთთან, დაინიშნა ს. მ. კიროვი.

ფრანგული ცნობით ბერლინში მივიდა მოსკოვში მიმავალი ოსმალ-ნაციონალისტთა მისია.

ფრანგული ცნობით ვრანგელის შტაბის უფროსი გენ. მარკოვი ვარშავაში 150 ათასიან ჯარს ადგენს, რომელიც ვრანგელს შეუერთდება.

იტალიის ცნობით ბოლშევიკები განაგრძობენ ლიტვაში პოლონელების წინააღმდეგ შეტევას. სუვალკის და ავგუსტოვოს შუა პოლონელებმა დაამარცხეს წითელი ჯარი.

ზეაო". სოც.-დემოკრატიული პარტია და მთავრობა კი სულ სხვა გზას ადგია. იგი ყოველთვის ამჟღავნებს თავის ნაკლულევანებას და ცდილობს მის გამოსწორებას. ეს გაუცხადებიათ არა ერთხელ დამფ. კრების ტრიბუნიდან, ეს გვითქვამს და დაგვიწერია არა პირველათ პრესაში, მიუხედავათ იმისა, რომ ვიცოდით, ბურჟუაზიული პრესა შეეცდება ამის ბოროტათ გამოყენებას და ამ ნიადაგზე თავის კაპიტალის შემატებას.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ იგიც, რომ მიუხედავათ თავის ნაკლის გულახდილად აღიარებისა, ჩვენ ერთხელაც ვერ მოვიწონეთ ამ ბურჟუაზიული პარტიათა რჩევა-დარიგებანი, იმდენათ აშკარა იყო მათი მავნებლობა ხალხისათვის და გამოსადეგობა სპეკულიანტებისთვის. დღესაც ამ თვითკრიტიკის შედეგი იქნება ჩვენი გზის გაუმჯობესება და არა თქვენი პოზიციის გამაგრება.

აი ეს გაწუხებთ თქვენ და ამიტომ ვერ აიშორეთ თავიდან ამონაწერისაგან იმის ამოკითხვას, ისეთი დასკვნების გამოყვანას, რაიც პირდაპირ სიყალბის თქმას მოასწავებს.

ჩვენ ვერც თქვენი ასეთი კბილთა ღრჭიალი შეგვაჩერებს. ჩვენ ვმუშაობთ ხალხისთვის და მის წინაშე შეგვწევს გაბედულება ჩვენი ნაკლი და დადებითი მხარეც სისწორით გადავშალოთ.

საქართველო ინგლისურ სარკეში*)

წერილი ლონდონიდან.

მთავრობის ფინანსიური ინტრიგები.

თფილისში დღეს, როდესაც ბაქოს გზა დაკეტილია და ამერიკის დამხმარე კომიტეტი იქიდან წამოვიდა, არავითარი უცხო ვალიუტის ყიდვა არ შეიძლება. უცხო ვალიუტა აქვს მთავრობას, რომელიც ბაზარზე არ ყიდის მას და ამ მხრით არ ეხ არება თავის საკუთარ ვაჭრობას, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო საშინლათ საჭიროებს სურსათს და ადგილობრივ ვაჭრებს არ შეუძლიათ მისი შეძენა უცხოელ იმპორტერისაგან, რომელსაც ფული უნდა გადაუხადონ უცხო ვალიუტით.

მოკლეთ, ხალხის გამოკვებვის საქმეში მთავრობა ვერ გარკვეულა ცისთვის უცოდინარობის გზებში ან, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, იჩენს გამოუსადეგარ და უსარგებლო ზრახვებს. იმის მაგივრათ, რომ მთავრობას გავლენა მოეხდინა თავისი ქვეყნის ბანკის სისტემის გასამაგრებლათ, ამიერ კავკასიის და რუსეთის აქციონერულ ბანკებს, თავაღებულათ, ნება მისცეს დაეკავებიათ მის მომხმარებელთა დეპოზიტები გასარჩევ ტრანზაქციებში და შეუძლიათ არ გაისტუმრონ დეპოზიტორები. ამ ბანკებს მთავრობა პრაქტიკულათ ნებას აძლევს გამოაცხადონ მარატორიუმი, მათ ნება აქვთ მომხმარებლებს მისცენ არა უმეტეს 5 ათასი მანეთისა (5 გირ. სტერლინგი), რაც უნდა დიდი კრედიტი—ბალანსი ქონდეთ მათ. ამ პროცედურასთან ერთად კაბინეტმა შეიტანა პროექტი, რომელიც მთავრობას საშვალებას აძლევს ყველა კომერციულ და ინდუსტრიალურ საქმეში ფართოდ ჩაერიოს, მთავრობისათვის ყველა მოგების ნაწილი დაიკავოს, ასე რომ არავითარ წარმოებას არ შეუძლია მიიღოს განსაზღვრულ მოგებაზე მეტი; იგი ართმევს პატრონებს თავის მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლებას, ამტკიცებს ერთნაირ დღიურ ქირას თვითეული კლასისათვის და ნაჭრობით მუშაობას უკანონოთ ხდის.

ზემოაღნიშნული მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში იმ მიზნით, რომ ყველა მნიშვნელოვან საწარმოვო დაწესებულების გამგებლობაში შედიოდეს მთავრობის ოფიციალური პირები, რათა საბოლოოთ გააფართოვონ მრეწველობა და ამით მოსპონ კერძო კაპიტალი. მართლაც, ჟორდანიას ადმინისტრაციის პოლიტიკამ ამოაშრო წარმოების წყაროები, დააშინა და გააქცია უცხო კაპიტალი და ამავე დროს უარჰყო ამ ქვეყანაში უკვე მოთავსებულ უცხო კაპიტალისთვის სამართლიანი პირობები და მისი უზრუნველყოფა. ამერიკელებმა და იტალიელებმა იზარალეს, მაგრამ ბრიტანელ საქმიან ხალხის ჭკუამ ზოგიერთი გამოკლებით, გადაარჩინა ისინი სერიოზულ ზარალისა.

შეიძლება ასეთი ვითარება მიეწეროს მინისტრთა შეცდომებს, რომელთა მთავარი ხელქვეითები ხალხის ყველა ნაწილში გულით ავათმყოფნი არიან, თუ, ეს შეიძლება ავხსნათ იმ მოვლენით, რომ ზოგიერთი გერმანელები, როგორც ოფიციალური პირები სხედან მთავრობის ზოგ დაწესებულებაში? საქართველოს დაღუპვა და გაკოტრება უფრო შეეფერება გერმანიის საალმოსავლეთო პოლიტიკის მიზნებს ბრიტანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამას შეუძლია ბრწყინვალე ხელის შემწყობ შემთხვევა მისცეს გერმანიის კაპიტალს და გამჭრიახობას, ეგის ყველაზე უფრო მოაზროვნე ნაწილი ნათლად ხედავს, რომ ქვეყანა გაკოტრებისკენ მიდის. როგორც არ უნდა იყოს, ცვლილება მაინც უცებათ არ არის მოსალოდნელი.

სანამ უცხოელთა თავდასხმის საფრთხე არ იქნება აცილებული და სანამ რუსეთში და ოსმალეთში როგორიმე წესრიგი არ დამყარდება, მანამდე საქართველოს ეხლანდელ მთავრობის პრაქტიკასთან შეუფერებელი სოციალიზმი და ფინანსიური საშუალებათა ფლანგვა წარსულს ვერ ჩაბარდება. მთავრობა დიდხანს ვეღარ იარსებებს თუ ის კვლავინდებურად დაემყარება კონფისკაციაზე, ყველა ინდივიდუალურ მისწრაფებათა ჩახშობაზე, თავის რკინისგზებზე გამავალ მთელ საქონლის დაჯარიმებაზე და უმთავრესად ფულის საბეჭდ მანქანაზე, რითაც საბოლოოდ დასცემს ამ ფულის ღირსებას.

ბრძოლა ბოლშევიზმთან.

სიმართლე უნდა ითქვას ეხლანდელი მინისტრების შესახებ. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გაჭირვების დროს ისინი გონიერ ზომებს ღებულობენ ყოველთვის, იჩენდენ საღ ნაციონალურ სულს და ეკვეთებოდენ ბოლშევიზმს შიგნით და გარეთ. მაგრამ ეს სხვა აზრით ხდება. აღარაა დასაშვები ზარმაცთა და უსაქმურთადმი მაჟანკლობა მუშათა კლასში. ქველმოქმედება უნდა მოისპოს და გაჩნდეს პატიოსნური დღიური მუშაობა. რადგან აქ ყველასათვის მდიდარი სამუშაო არის, თუ კი საქართველო თავის თავზე იზრუნებს და სათანადო მნიშვნელობას მოიპოვებს მთელს ქვეყანაზე. მომქმედი ძალა და პატიოსნება უნდა შევიდეს სამოქალაქო სამსახურში. საქართველოს პოლიტიკამ უნდა მისცეს თავისუფალი ასპარეზი კერძო ინიციატივას და ანტრეპრიზას მრეწველობაში. უნდა გაიფანტოს ზოგიერთ ქართველების სულიერი აზრი, რომ უცხო კაპიტალი მათთვის საჭირო არაა, კაპიტალს სათანადო პატივისცემით უნდა მოეპყრათ და აღარ უნდა იყოს მექარის და მოსპობის საგანი, არ უნდა იყოს მოკლებული კანონმდებლობით დაცვას და განსაკუთრებით აცილებული უნდა იყოს ადმინისტრატიულ ზომებს და არევდარევას.

ბრიტანეთის მიერ ბათომის დატოვება ხელებს გაუხსნის გერმანელების პოლიტიკურ ინტრიგებს და კომერციულ მისწრაფებებს საქართველოში. გერმანელები თფილისისთვის უცხონი არ არიან. ცოტად თუ ბევრად პრეტენციოზური სახლი ქალაქში მოწყობილია გერმანელების მიერ გერმანული ტიპის ავეჯეულობით ომის წინ ვაჭრობის ყველა დარგში გერმანული საქონელი მეტობდა. გერმანული ფირმების დიდის და პატარას საგენტოები ძლიერ ბევრია. ქართველებს ძალიან სუსტი საქმიანი ურთიერთობა დაიჭირონ ბრიტანელებთან. ყოველთვის სჩიოდენ, რომ გერმანელ იმპორტერებისაგან მიღებული დიდი კრედიტები ხელს უბოჭავს მათ ბრიტანელებთან დამოკიდებულების განსავითარებლათ. ქართველთა კომერციულ წრეებში უმრავლესობა გერმანულ ენაზე ლაპარაკობს და მაღაზიების უმეტესობაში პოვულობთ ისეთ ვაჭარს, რომელმაც იმდენათ იცის გერმანული, რომ საჭიროების დროს სრულიად შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება.

გერმანელთა იმედების ქვეყანა.

განათლებულ კლასებში და განსაკუთრებით პოლიტიკურ წრეებში თავისუფლად ლაპარაკობენ და სწერენ გერმანულად. ჩემი კერძო მუსაიფი შინაგან საქმეთა მინისტრთან სწარმოებდა გერმანულ ენაზე. ფრანგულ ენას დიდი პატივი აქვს საზოგადოების მაღალ წრეებში. საზოგადოების მოწინავე პირთა უმეტეს ნაწილს—ვექილებს, ექიმებს და მათ, ვინც არიან ვაჭრობაში, განათლება მიღებული აქვთ გერმანიაში, სიდაც ისინი გაიჟღინთნენ მარქსისტული დოქტრინებით და ცხოვრებაზე გერმანული შეხედულებით. მიუხედავათ იმისა, რომ მგზავრობა გაძნელებულია, ყოველ დღე იზრდება რიცხვი ქართველებისა, რომელნიც მიისწრაფიან გერმანიის უნივერსიტეტებში, სადაც მათთვის შეღავათიანი პირობებია შექმნილი.

საქართველო ყოველთვის იყო გერმანიის მომხიბვლელი. ისტორია, მისი წარმტაცი მთები, მშვენიერი ჰავა, მისი მდიდარი ნიადაგი და დაფარული სიმდიდრე და შედარებით იოლი გზა ბერლინიდან საქართველოში, მიმართავდა უფრო ნაყოფიერ ცხოვრების მაძიებელ ხალხის(გერმანელების) ესთეტიურ გრძნობას და კომერციულ ინსტიქტს:

თუ ეს ასე იყო ომამდე, მით უმეტეს ეხლა უფრო ეს ქვეყანა მომხიბლავი გერმანიისთვის, რომელსაც გასაქანი არა აქვს და ეძებს ბედს, როდესაც მთელი ქვეყანა, შეიძლება გარდა არგენტინისა და შორეულ აღმოსავლეთისა, დაკეტილია გერმანიისთვის. გერმანიამ იცის, რომ იგი მაშინაც კი იყო პატივისცემით მიღებული საქართველოში, როდესაც რესპუბლიკათ არ იყო გამოცხადებული. გერმანიას ახსოვს, რომ მაშინაც კი, როდესაც გერმანიის ჯარებმა თფილისის ოკუპაცია მოახდინეს, ერთი ან ორი წლის წინათ, იგი პოპულიარული იყო ქართველებში და ესმოდა მათი მისწრაფებანი და ფიქრები. გერმანიამ იცის, რომ მის ენერგიას, მეთოდს და სიმტკიცეს შეუძლია აღადგინოს და განავითაროს განადგურებული ქვეყანა, რომელიც დაჯილდოვებულია უზარმაზარი პოტენციალური სიმდიდრით. ყველაზე უფრო მისი გერმანული გრძნობები დაკმაყოფილდება: საქართველო, რომელიც თავის მრეწველობაში და კომერციაში გერმანელებისგან ფულს და კონტროლს ღებულობდა. გერმანელებმა იქ ფეხი მოიკიდეს ამ მოხერხებულ ხრიკების წყალობით, რაშიც ჰუნნები ცნობილი დიდი ოსტატები არიან. საქართველო იქნება ცენტრი, საიდანაც შეიძლება ბრიტანეთი მახეში გაებას და გაწვალდეს ახლო აღმოსავლეთში. ბრიტანეთის სახელმწიფოსთვის შეიქნება მუდმივი საფრთხე სპარსეთში და ინდოეთში გალაშქრებისა.

ამით სრულდება ინგლისელ კორესპონდენტის წერილი. როგორც ჩვენი მკითხველი დაინახავდა, წერილი ტენდენციოზურია და არა ერთი და ორი ყალბი ადგილი მოიპოვება შიგ.

როგორც ვხედავთ, ინგლისელი კორესპონდენტი ისე, როგორც საერთოდ ჩვენ შესახებ ცნობის მიმწვდენელნი განსაკუთრებულ ნიშანში ყავს ამოღებული ჩვენი პარტიის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ტაქტიკა. ბევრი რამ აქ მხოლოდ უბრალო გაუგებრობით არის გამოწვეული. ჩვენ ზემოთ ბევრი ავღნიშნეთ ასეთი გაუგებრობა და დიდი ადგილი აქვს მას აგრეთვე ინგლისელ კორესპონდენტის წერილშიაც.

ჩვენ ვსთქვით, რომ აუცილებელი და საჭიროა ჩვენი ქვეყნის გაცნობა ევროპისათვის, არა მარტო ჩვენი ქვეყნის წარსულის, არამედ მისი დღევანდელი მდგომარეობა და რათაც არ უნდა დაუჯდეს ეს საქართველოს, მან ეს უნდა მოახერხოს და მოაწყოს. პირველია ის, რომ საქართველოს წარმომადგენლები განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან თავის მოვალეობას. მეორე, უმთავრესი ის, რომ მათ უნდა იმუშაონ თავდადებით საქართველოს ინფორმაციისათვის. ამდენი ხნის არსებობის შემდეგ, განა დრო არ არის უკვე გაბმული გვქონდეს ძაფები ევროპის ყველა სახელმწიფოსთან?

ჩვენ შესახებ გაუგებრობის, ჭორის, ცილისწამების გაფანტვა და სიმართლის გამოტანა ევროპაში ჩვენთვის ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი ადამიანისათვის. ევროპას ჩვენ ვსჭირდებით, მაგრამ უფრო მეტად ჩვენ გვჭირდება ევროპა,—ამიტომ საჭიროა და ღირს კიდევაც მუშაობა და ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს მეტის ინტენსივობით, მეტის ენერგიით. ამას გვავალებს დღეს ჩვენი დემოკრატიის ინტერესები და ამ მოვალეობას ვერავინ ვერ უნდა უხვევდეს გვერდს. პასუხისმგებლობა დიდია!

ვიქტორ ნოზაძე.

---

*) იხ. „ერთ." № 23.

ჟენევის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი

II

ჟენევის კონგრესის ხაზავთ დახასიათება.

ჟენევის კონგრესი გაიხსნა 1920 წ. 31 ივლისს.

როგორ არ ჰგავდა ეს კონგრესი ინტერნაციონალის ძველ ყრილობებს—ამსტერდამში, შტუტგარდში, ბაზელში!

სხდომების ჩვეულებრივი დარბაზი ნახევრათ ცარიელია. კედლებზე მტვრიანი, მზისაგან გახუნებული გერბებია შვეიცარიის კანტონების. კანდარაზე კაოციოდე მოწყენილი მსმენელი ზის...

არ არის არც ტრადიციული პორტრეტები ინტერნაციონალის დამაარსებელთა, არც წითელი დროშები, არც პლაკატები, რომლებზედაც შეერთების ლოზუნგები ეწერა.

და ქალაქის სახლის წინ, სადაც კონგრესის სხდომებია, ქუჩაზე—უდაბნოა, არ არის არაფერი, რაც მოგაგონებს სიდიადეს იმ ყრილობისას, რომელიც ამ სახლშია.

მხოლოდ კარებზე მიკრულია ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ლურჯი ხელით ვიღასაც საჩქაროთ დაუწერია:

„Conqres Int. Soc"

ეს იმისათვის, რომ კონგრესის წევრებმა უფრო ადვილათ იპოვნონ გზა.

ჟენევის სოციალისტური ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან როლს არასდროს არა თამაშობდა და ეხლა კი დიდი ხანი არ არის ბოლშევიკების ხელში ჩავარდა და სულ მთლათ დაიშალა,—კონგრესს შეეგება ლანძღვით სავსე აფიშით, რომელიც გაკრული იყო მთელ ქალაქში. ბოლშევიკები არ დაკმაყოფილდნენ ამით, მათ მოინდომეს მოეწყოთ კონგრესის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. ისინი მოვიდნენ კონგრესის ერთ სხდომაზე, დასხდნენ კანდარაზე და ყვირილითა და ყიჟინით უშლიდნენ ორატორებს ხელს. მაგრამ ბოლშევიკების რიცხვი ჟენევაში ძლიან მცირეა—იმათ, მაგ. ამ დემონსტრაციის მოსაწყობათ მოაგროვეს ყველა თავისი ძალები, და მაინც ვერ შესძლეს 30 კაცზე მეტის შეკრება, ასე რომ, იმათი დემონსტრაცია სასაცილო გამოდგა...

მაგრამ სასაცილო სახე ჰქონდა ხანდახან კონგრესსაც. თავდაპირველათ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ აქ, ამ მოწყენილ დარბაზში—ინტერნაციონალის სხდომებია.

მხოლოდ კონგრესის დასასრულ, როდესაც ჩამოვიდნენ დაგვიანებული დელეგატები, როდესაც გაცხოველდა კამათი, როდესაც კონგრესის წინ მთელი თავისი სიმწვავით დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება იმ ჯგუფებთან, რომელნიც ცდილობენ ხელთ იგდონ პროლეტარიატის საერთაშორისო შეერთების დროშა და რომელთაც შეაქვთ ყოველგან მუშათა მოძრაობაში დაშლა და გათახსირება,—მხოლოდ კონგრესის ბოლო სხდომებზე გამოაშკარავდა მისი დაფარული სიმძლავრე.

ჟენევის კონგრესში მონაწილეობას იღებდა 118 დელეგატი, რომლებიც იყვნენ 15 სახელმწიფოს წარმომადგენელნი.

ყველაზე უფრო ძლიერათ იყო წარმოდგენილი ინგლისი. ინგლისის დელეგაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა კონგრესს, შესდგებოდა 24 კაცისაგან, სამი ცალკე ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

1) მუშათა პარტიის, 2) მუშათა კავშირების, 3) ფაბიანელთა საზოგადოების.

მუშათა პარტიისაგან იყო 13 წარმომადგენელი, მათ შორის გუტჩინსონი, მაკდონალდი, სიდნეი ვებბი, რუსეთში მყოფი ინგლისის დელეგაციის მეთაური ტომას შოუ, ქ-ნი საწოუდენი, ბოლშევიკების პრესის ყიჟინის წყალობით მთელ ქვეყნიერებაზე ცნობილი მაკლინი და სხ.

მუშათა კავშირებისაგან (ტრედ-იუნიონები) წარმომადგენლებათ არიან ტარნონი, ტომასონი, გილლეში და სხ.

„ფაბიანელთა საზოგადოებიდან" რომელიც ინგლისში მეცნიერულ სოციალისტურ აზროვნების ცენტრია, იყო 3 დელეგატი, მათ შორის ქ-ნი ვებბი.

ამგვარათ, ინგლისის დელეგაცია გამოხატავდა ამ ქვეყნის მუშათა და სოციალისტურ მოძრაობის ყველა მიმართულებებს.

მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე დელეგაცია გამოგზავნა აგრეთვე ბელგიამ (ემილ ვანდერველდე, დე-ბრუკერი და სხვ.).

მშვენიერათ იყო წარმოდგენილი აგრეთვე ჩრდილოეთი ქვეყნები: შვეცია (გუსტავ მელლერი, ზანდლერი, ენგბერგი), ჰოლლანდია (ფრიგენი, ტროელსტრა, კოლი), დანია (სტაუნინგი).

სუსტი იყო ევროპის დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლობა.

გერმანიიდან ჩამოვიდნენ მხოლოდ „უმრავლესობის" დელეგატები (შეიდემანი, ედუარდ ბერნშტეინი, „ფორვერტს"-ის რედაქტორი შტამპფერი, ადოლფ ბრაუნი, ოტტო ველსი და სხ.) ეს მოზრდილი დელეგაცია იყო, მაგრამ იგი წარმოადგენდა გერმანიის არა მთელს მუშათა მოძრაობას, არამედ მხოლოდ მის ორ მესამედს.

საფრანგეთი წარმოდგენილი იყო პარლამენტის სოციალისტური ჯგუფით, რომელიც ამ ბოლო დროს გამოეყო პარტიას. საფრანგეთის სოციალიზმის ყველაზე უფრო საღ მიმართულების ლიდერი—რენოდელი კონგრესზე იმყოფებოდა მხოლოდ, როგორც სტუმარი.

იტალიიდან ჩამოვიდნენ სოციალისტ-რეფორმისტების წარმომადგენელნი, რომლებიც „ოფიციალურ" პარტიის გარეშე არიან. *)

ასევე ცალმხრივათ იყო წარმოდგენილი შვეიცარიაც. აქ სოციალისტური პარტიის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა ჩაშლილი იყო ბოლშევიკების მიერ ზოგიერთი მანევრების საშუალებით, რომელთა შესახებ მე ამ წერილში ვერ ვილაპარაკებ.

ცალმხრივათ იყო წარმოდგენილი პოლონეთიც—P. P. S. (პოლონეთის სოციალისტური პარტია) კონგრესზე მონაწილეობას იღებდა, პოლონეთის სოციალ-დემოკრატები კი არ იყვნენ.

რუსეთი სრულიად არ იყო წარმოდგენილი (სოციალისტ რევოლიუციონერების დელეგატები კონგრესზე მხოლოდ ინფორმაციის მიზნით იყვნენ, მათ მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდათ).

შეერთებულ შტატების სოციალისტებმა კონგრესს მისალმების დეპეშა გამოუგზავნეს, დელეგაცია კი არ გამოუგზავნიათ.

ავსტრალიიდან კონგრესზე იყო კვინსლენდის პრემიერი—ტეოდორი. წარმომადგენელი იყო აგრეთვე ახალი ზელანდიაც.

და ბოლოს ახალ რესპუბლიკებიდან, საქართველოს გარდა, წარმოდგენილნი იყვნენ აგრეთვე ადერბეიჯანი*) და ლიტვა.

შევკრიბოთ ეს რიცხვები: მუშათა და სოციალისტური მოძრაობა იყო წარმოდგენილი ჟენევაში მთლიანად შემდეგი ქვეყნებიდან: ინგლისიდან, ბელგიიდან, შვეციიდან, ჰოლანდიიდან დანიიდან, საქართველოდან, ლიტვიდან ავსტრალიიდან და ახალ ზელანდიიდან.

მუშათა და სოციალისტური მოძრაობა იყო წარმოდგენილი მიმდინარეობით, რომლისაც მიჰყვება პროლეტარიატის უმრავლესობა გერმანიიდან და პოლონეთიდან, ხოლო უმცირესობის მიმდინარეობით: საფრანგეთიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან და ადერბეიჯანის.

სულ არ იყო წარმოდგენილი: რუსეთი, ავსტრია, ნორვეგია, ისპანია და უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები და ოკეანეს გაღმა ქვეყნების უდიდესი ნაწილი, რომელთა წარმომადგენელნი წინა კონგრესებზედაც მხოლოდ ხანდახან მიდიოდნენ.

რას წარმოადგენდა ჟენევის კონგრესი? როგორი მნიშვნელობა აქვს მის გადაწყვეტილებებს?

იყო ეს ინტერნაციონალი? თუ მხოლოდ ნამსხვრევი ინტერნაციონალისა?

დავთვალოთ ობიექტიური ძალები, რომლებიც სდგანან ჟენევის კონგრესის დროშის ქვეშ და რომლებიც მის გარეშე სდგანან.

ჟენევის დროშის ქვეშ სდგას 6000000 ინგლისელი მუშა, 4,000,000—გერმანელი, 2,000,000 მეტი ბელგიის, დანიის, შვეციის და ჰოლანდიის მუშები, თუ არ ვილაპარაკებთ უფრო წვრილ სახელმწიფოებზე.

მე-2-ე ინტერნაციონალის წიაღში ბოლშევიკებმა შესძლეს შეეყვანათ—იმათივე ანგარიშით—1,000,000 მუშა, მიუხედავათ იმისა. რომ ისინი მიერეკებოდნენ მუშებს კომუნისტურ „იაჩეიკებში" ხიშტებით და დაშინებითაც.....

რომელს ამ ორ ცენტრთაგანს უნდა მივაკუთნოთ ის „რეკონსტრუქციის" მომხრე პარტიები, რომლებმაც დასტოვეს მე 2-ე ინტერნაციონალი?

„რეკონსტრუქციის" მომხრეები—იმ პარტიებისაგან, რომლებმაც გამოგზავნეს თავისი წარმომადგენლები ჟენევაში, სხვადდებიან სერიოზულ ტაქტიკური უთანხმოებებით, მაგრამ მოსკოვს იმათ აშორებს უფსკრული, ის უფსკრული, რომელიც არსებობს კულტურასა და ბარბაროსობას შორის, თავისუფლებასა და მონობას შორის, სოციალურ პროგრესის და რეგრესის შორის, სოციალიზმსა და ანარქიის სისხლიან ქაოსს შორის.

„რეკონსტრუქციის" მომხრეებს შეიძლება სწამდეთ ლენინის „ინტერნაციონალი" მხოლოდ იმდენათ, **რამდენათაც მათ არ იციან ის, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთი.** მაგრამ საკმარისია ისინი ახლო გაეცნენ რუსეთის კომუნიზმის ყოველ დღიურ პრაქტიკას, რომ აღშფოთებით პირი იბრუნონ იმისაგან, რადგანაც ის არის შეურაცხყოფა ყველაფერი იმის, რაც ძვირფასია მშრომელი პროლეტარიატისათვის.

ამიტომ „რეკონსტრუქციის" მომხრეების მოსკოვისკენ მობრუნება, არის მხოლოდ წარმავალი, დროებითი ავათმყოფობა, რომლის განკურნებისათვის იზრუნებენ... თვით ბოლშევიკები.

ამგვარათ, ჟენევის კონგრესს არავითარი საბუთი არ ჰქონდა იმ პარტიებისათვის., რომლებმაც დასტოვეს მე-2 ინტერნაციონალი „რეკონსტრუქციისათვის", ისე ეყურებინა, თითქოს ისინი სამუდამოთ ჩამოშორდნენ მას იმას არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ გერმანელი დამოუკიდებლებიც, იტალიელებიც, ფრანგებიც დაბრუნდებოდნენ ძველ დროშის ქვეშ ისე, როგორც ადრე თუ გვიან დაუბრუნდება ამ დროშას რუსეთის პროლეტარიატი, გა- [illegible] „კომუნისტურ" დიქტატურის უღლიდან.

[illegible]

ვლ. ვოიტინსკი.

---

*) როგორც ცნობილია, იტალიის „ოფიციალური" პარტია შევიდა „მე-3-ე ინტერნაციონალში". მაგრამ ამ გადაწყვეტილების სერიოზულათ ანგარიშის გაწევა, იტალიაში მუშათა მოძრაობის სრულ დეზორგანიზაციის გამო, არ შეიძლება. მუშათა მასების განწყობილება იტალიაში—სრულიადაც არ არის ბოლშევიკური, და გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, რომ ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც გამოიტანა იტალიის სოციალისტურმა დელეგაციამ მოსკოვის დათვალიერებიდან, შეაცვლევინებენ პარტიას მოსკოვთან დამოკიდებულებას.

*) ადერბეიჯანიდან იყვნენ, როგორც სოციალ დემოკრატების, ისე სოც. რევ. წარმომადგენლები.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

8 სექტემბერი.

ფრანგული ცნობები

მარნის გამარჯვების სახსოვრათ.

მარნის გამარჯვების სახსოვრათ გამართულ ცერემონიაზე დასწრების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეტცში გაემგზავრა, სადაც ორშაბათს ეროვნულ გამოფენას დაესწრო.

ბრესლავლის ინციდენტის გამო.

საფრანგეთის საელჩოში ყოფნის დროს გერმანიის საელჩოში ყოფნის დროს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუწყა მას ის გადაწყვეტილებანი, რომელნიც მათ ბრესლავლის ინციდენტის გამო მიიღეს. ეს გადაწყვეტილებანი: ბრესლავლის პრეფექტის დათხოვნა. საზოგ. უზრუნველყოფის პოლიციის უფროსის პასუხისგებაში მიცემა. კაპ. ფონარნინის პროვინციალურ გარნიზონში გადაყვანა. საფრანგეთის საელჩოს შენობის აღდგენა.

მოსავალი ალჟირში.

რადგან ალჟირში მოსავალი ნაკლებია, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მეტროპოლიიდან ალჟირს ქერი გაუგზავნოს.

ვრანგელთან ერთად.

ვრანგელის გენ. შტ. უფროსი გენ. მარკოვი ვარშავაში მოვიდა და „დეილი ექსპრესის" ცნობით მოლაპარაკებას აწარმოებს რუს გენერლებთან, რომელნიც აღგენენ 150,000 ჯარისკაციან არმიას. ეს ჯარი ვრანგელის ჯარს უნდა შეუერთდეს.

ოსმალო-ნაციონალისტთა დელეგაცია.

ბერლინიდან იუწყებიან: აქ მოვიდა მოსკოვში მიმავალი ოსმალო-ნაციონალისტთა მისია.

სამხრეთ-სლავია და ალბანეთი.

„დებას" ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება: სამხრეთ სლავიის ჯარმა ბრძანება მიიღო შესწყვიტოს ალბანელთა დევნა, როგორც კი სადემარკაციო ხაზს მიაღწევს.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის შინა კომისია 15 ოქტ. უნდა შეიკრიბოს. დაესწრებიან ლიგის ევროპიელი წევრები. განიხილავენ საკითხებს: თუ როგორ შეიძლება ევროპაში მგზავრობის შემსუბუქება, განიხილავენ უმთავრესათ პასპორტების საქმეს.

გერმანული ცნობები

პოლონეთის შურისძიება.

პოლონეთის შურისძიება მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ყოველივე ზომას აჭარბებს. გრაუდენცში გამოკრულია სია სიკვდილით დასჯილ 39 გერმანელისა, რომელთაც სამხედრო საიდუმლოების გაცემა ბრალდებოდათ: პოლონეთის ციხეებში მრავალი გერმანელი იმყოფება.

ინგლისი, გერმანია და ამერიკა.

ფონ-ხორსტმა განაცხადა: „ფაქტია, რომ ინგლისი, გერმანია და ამერიკა განახორციელებდა ხანგრძლივ ზავს და მთელ ქვეყნიერებაზე სასარგებლო დამოკიდებულებას, რომ მათ დაევიწყებინათ ყოველივე და ეფიქრათ მხოლოდ ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლის წინაშე ჩვენ ყველა ვდგევართ. ეს ერთად ერთი სწორი გადაწყვეტაა საკითხისა. მე ყოველივე ღონეს ვიხმარ შეერთებულ შტატებთან კომერციული დამოკიდებულების აღსადგენათ.

ბოლშევიკების ცნობები

მუშათა კლასი და გლეხობა

მოსკოვი. 8 სექ. მდგომარეობა შეცვლილია. გლეხი თავის ნაწარმოების ბატონ პატრონი შეიქნა. მისი სურვილია თავის ნაწარმოები მეტად ხელსაყრელ პირობებში გაასაღოს, ივიწყებს რა იმ კავშირს, რომელიც განუყრელად აერთიანებს მას მუშათა კლასთან. კავშირის აუცილებლობა ბოლშევიკებმა უნდა განუმარტონ გლეხებს. ეს უფრო საჭიროა დღეს, როდესაც რუსეთის მოუსავლობა ეწვია და როდესაც გლეხობა არ იჩენს სურვილს სხვა მცხოვრებთ პური გაუზიაროს. ქალაქის პროლეტარიატს და წითელ ჯარს ეჭირვება პური, რომელიც უნდა მოვიტანოთ. მუშა და გლეხი ერთი კავშირით არიან შეერთებულნი. მათ აკავშირებთ პოლიტიკური და ეკონომიური პირობები. ამ კავშირის გაწყვეტა ნიშნავს რევოლიუციის დამარცხებას. მუშას ეს აზრი შეთვისებული აქვს და ესევე უნდა შეითვისონ გლეხებმაც.

სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის პრეზიდიუმის დადგენილება.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში საგანგებო კომისიამ რიკოვის მეთაურობით მოსკოვთან ახლო მდებარე ქვანახშირის მაღაროები ინახულა. კომისიის მიზანი იყო გაეცნობოდა ორი წლის მუშაობის შედეგებს. ამ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის შემდეგი განვითარებისთვის. მოისმინა რა რიკოვის და ლომოვის მოხსენებანი სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის პრეზიდიუმმა, დაადგინა: 1) დაავალოს კომუნისტებს მოიწვიონ ყრილობა მუშების სადგომ ბინების აშენების საკითხის გასარჩევად, 2) მიეცეს წინადადება სააღმშენებლო განყოფილებას მიიღოს ზომები ბეტონისა და მის გვარ მასალიდან მუშების სახლების ასაშენებლად და სხ.

პურის საკითხი.

„გლეხის კვირის" ლოზუნგია: ქალაქს პური ესაჭიროება, პური უნდა მუშებს და წითელ არმიას. ეს პური უნდა მოგვცეს გლეხებმა. პური უნდა წამოვიღოთ და წავიღებთ კიდეც.

ლიტვის ცნობები

პოლონეთის მიმართვა ერთა ლიგისადმი.

პოლონეთის მთავრობამ ერთა ლიგის მდივანს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: პოლონეთის ჯარის უკან დახევის დროს ლიტვის მთავრობა შეუთანხმდა მოსკოვის მთავრობას, რომლის ძალითაც საბჭოთა რუსეთის ჯარს ნება ეძლეოდა ესარგებლა ლიტვის ტერიტორიით როგორც ჯარის გადაყვანისა, ისე სიმხედრო ბაზის მოსაწყობათ. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმის, რომ ლიტვამ რუსეთ პოლონეთის ომში დაარღვია ნეიტრალიტეტი.

ამიერიდან ცხადია, რომ ლიტვის ჯარს კავშირი აქვს წითელ არმიასთან და ლიტვის მთავრობა საბჭოთა მთავრობის იარაღად ხდება. ვინაიდან ლიტვაში ბოლშევიკთა ჯარების დაგროვება საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ პოლონეთის მთავრობა ახალ ოპერაციების დაწყების პასუხისმგებლობისაგან ინთავისუფლებს თავს. (გამოტოვებულია).

გემის გადაცემა.

საზავო ხელშეკრულების თანახმად ავსტრიის კრეისერი „პრინცი ევგენი" გადაეცა საფრანგეთს.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

8 სექტემბერი.

მრეწველობის მდგომარეობა.

ბერლინი. აგვ. 24. ელექტრო ტექნიკ მუშათა კავშირის კრებამ [illegible]

შუკერტის საზოგადოების დირექტორმა გააკეთა მოხსენება ამ დარგის მრეწველობის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ამის მიზეზათ ორატორმა დაასახელა შეუწყვეტელი გაფიცვები, სამუშაო დღისა და შრომის ნაყოფიერების შემცირება. სიძვირის გამო ელექტრონულ ტექნიკურ საქონლის მოთხოვნილება ძალიან მცირეა და ეს კი გამოიწვევს უმუშევრობას. აგრეთვე ცუდათ მოქმედობს ფულის კურსის ცვალებადობა და მისი დაცემა. გერმანელმა კომერსანტებმა ნდობა დაკარგეს, რადგანაც გერმანიის მექარხნეებმა ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზების გამო შეკვეთილი საქონელი დროზე ვერ დაამზადეს.

რუსეთ-გერმანიის შიშით.

პარიზი. აგვ. 26. გაზეთ „აქსიონ ფრანსეზში" დაბეჭდილია წერილი სათაურით საფრანგეთ რუსეთ გერმანიის საფრთხე სადაც სწერია: პოლონეთის ველებზე წყდება არა მარტო რუსეთ-პოლონეთის საკითხი, არამედ—ევროპის მახლობელ მომავალის ბედიც. უნდა გვახსოვდესო, სწერს წერილის ავტორი ერლიხი, რომ ბოლშევიკებს სურთ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, შეუერთდენ გერმანელებს, რათა შეერთებულის ძალით გაანადგურონ ახალი კომპანია მოკავშირეების წინააღმდეგ. ამიტომაც ანტანტამ უნდა გააძლიეროს პოლონეთისათვის დახმარების აღმოჩენა და არ უნდა შეიწყნაროს რუსეთ-გერმანიის კავშირი. მოკავშირეთა გაერთიანებული პოლიტიკა იხსნის ევროპას გერმანელებისა და ბოლშევიკების საფრთხისაგან. მოსკოვისა და ბერლინის შეერთების დღე უბედურების დღე იქნება და ვერსალის ხელშეკრულება ქაღალდის ნაფლეთათ იქცევა.

პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე.

ვაშინგტონი. აგვ. 20. ადგილობრივ პრესის ცნობით სოციალისტურ პარტიის კონგრესის დადგენილების თანახმად პარტიის წევრთა შორის მოხდენილ რეფერენდუმში რუსეთის ტიპის პროლეტარიატის დიქტატურასთან დამოკიდებულების გამოსარკვევად. რეფერენდუმით გამოირკვა, რომ ამერიკის სოციალისტური პარტია თავის ზიზღს გამოსთქვამს სოციალიზმისათვის იმ ხასიათის ბრძოლის გამო, რომელსაც ბოლშევიკები ეწევიან.

ქართული ეროვნული საბჭო ვარშავაში.

ვარშავა. 23 აგვისტო. ეწყობა ქართველთა ეროვნული საბჭო კურულაშვილის მეთაურობით. საბჭო ამ დღეებში გამოარკვევს ქართველთა საქართველოში გამგზავრებისა და გაჭირვებულთადმი დახმარების საკითხს. „ვარშავსკი კურიერის" ცნობით ამასთანავე საბჭო ცდილობს მჭიდრო კავშირი გააბას პოლონეთსა და საქართველოს შორის. განზრახულია გამოსცენ გაზეთი პოლონურ და ქართულ ენაზე. იმავე გაზეთის ცნობით ვარშავაში გახსნილა პოლონელთა და ქართველთა კლუბი. განზრახულია ამასთანავე ქართველთა და პოლონელთა ბანკის ვარშავაში დაარსება. პოლონეთის პრესა მხურვალე თანაგრძნობით ხვდება საქართველოს საკითხებს.

ლონდონი და რუსეთი.

პარიზი. აგვ. 24. „ტანი" წერილს უძღვნის მეორე ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესს და მოყავს ვანდერველდეს სიტყვა მოსკოვისა და ლონდონის შესახებ. მოსკოვი,—უთქვამს ორატორს,—ისუმცირესობაა, რომელიც ფიქრობს, ძალდატანების ხასიათის ზომების მიღებით სოციალიზმის დამყარებას საარაკოდ ჩამორჩენილ მხარეში. ლონდონი წარმოადგენს დარაზმულ პროლეტარიატს, რომელმაც გამოიჩინა შეგნება და რკინის დისციპლინა და რომელსაც სწამს, რომ ამ გზით მიაღწევს სოციალიზმს. ერთი მხრივ ძალმომრეობის რევოლიუცია და მეორე მხრივ რევოლიუცია მეთოდიური თანდათანობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა.

სიკვდილით დასჯილნი.

„ტანი" აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი დაუსჯიათ სიკვდილით რუსეთში. მაისის სამიდან ივნისის 26 ცენტრალურ რუსეთში სიკვდილი მიუსჯიათ 100 კაცისათვის. გაზეთი განმარტავს, რომ ეს ცნობა მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრადს ეხებაო.

გერმანია რუსეთის დაახლოვებისათვის.

მოსკოვი, აგვ. 20. „იზვესტია" (№ 64) ოფიციალურად უწყებს რუსეთისა და გერმანიის შორის დღეს არავითარი სადაო საკითხი არ არსებობს. ამიტომ დაახლოვება, თუნდაც ეკონომიური, ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნებაო.

პურის გამოცხობის გარშემო.

მოსკოვში ღებულობენ მკაცრ ზომებს პურის გამოცხობის საქმის გასაუმჯობესებლად. იმ ფურნის მოსამსახურეთ, სადაც ცუდი პური გამოცხვება, არ მისცემენ პრემიას და ულუფას და ბოლოს ფურნეს სრულებით დახურავენ.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბიუროს ბიულეტენი.

8 სექტემბერი.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი 8 სექტ. პოლონეთის ფრონტი. გროდნის რაიონში სოვოლკის ჩრდილოეთით ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლაა. ბრესტლიტოვსკის რაიონში კამენეც ლიტოვსკი ავიღეთ. ვოლინის ვლადიმირის რაიონში გრუბეშოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. აქ 200 ტყვე წამოვიყვანეთ. ლვოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. წამოვიყვანეთ 150 ტყვე. ყირიმის მხარეზე ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლებია.

ამხ. ჩიჩერინის დეპეშა პოლონეთის საგარეო მინისტრს.

მოსკოვი, 6 სექტ. ვარშავა. საგარეო საქმეთა მინისტრს. მოკავშირე რუსეთის და უკრაინის რესპუბლიკათა დელეგაცია შესდგება შემდეგ პირთაგან: ადოლფ აბრამის ძე იოფე, რესპუბლიკის კანტროლის წევრი, უკრაინის მიწადმოქმედების სახალხო კომისარი დიმიტრი ზახარიას ძე მანუილსკი, რუსეთ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ლეონიდ ლეონის ძე ობოლენსკი, რამდენიმე ხნის შემდეგ ამათ მიემატება რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი საქართველოში სერგეი მირონის ძე კიროვი. დელეგაცია გაემგზავრება მაშინვე, როგორც კი იქნება მისი ხელშეუხლებლობის გარანტია და აღმოუჩენენ მას ბინას. გთხოვთ გვაუწყოთ, თუ როდისათვისაა განზრახული პოლონეთის დელეგაციის მოსვლა რიგაში: გუშინდელ რადიოში ჩვენ წავიკითხეთ, რომ პოლონეთის დელეგაცია 14 სექტემბერს მივა რიგაში, მაგრამ არ ვიცით, რამდენათაა ეს დასაჯერებელი. ძალიან დაგვავალებთ, თუ ამ საკითხზე განმარტებას მოგვცემთ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი.**

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

ბაქო. 5 სექტ. 3 სექტემბერს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის პატივსაცემლათ დემონსტრაციები გაიმართა. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათი ათასი ამხანაგი. ქალაქი მორთული და განათებული იყო. ქალაქის ცენტრში და მუშათა რაიონებში რამდენიმე ალაგას მიტინგები გაიმართა. გახსნეს კარლ მარქსის ძეგლი, რომლის დროსაც სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ნარიმანოვმა, ზინოვიევმა და რადეკმა. „წითელი ახალგაზრდობის" მოედანზე „მსოფლიო იმპერიალიზმის კერპები" დასწვეს.

იტალიის ცნობები

ვარშავა. სექ. 7. გენ შტაბი იუწყება ლიტვაში ბოლშევიკები პოლონელების წინააღმდეგ შეტევას განაგრძობენ. სუვალკისა და ავგუტოვის შუა პოლონელებმა დაამარცხეს წითელი ჯარი, წამოიყვანეს 400 ტყვე, ხელთ იგდეს 3 ტყვიისმფრქვეველი. გალიციაში მდგომარეობა არ შეცვლილა.

პარიზი. სექ. 7. პანსიონის ბოლში ჩავარდა სამხედრო ჰაეროპლანი, მფრინავი დაიჭრა, 4 ბავშვი მოკვდა, 1 დაიჭრა.

ლონდონი. სექტ. 7. რეიტერის სააგენტოს ვარშავიდან აუწყებენ: დანციგში მოვიდა ამერიკის კრეისერი 22 ზარბაზნითა და 900 შეიარაღებული ჯარის კაცებით.

კონსტანტინოპოლი. „უნიონის" სააგენტო სევასტოპოლიდან იუწყება აზოვისა და ყუბანის ფრონტი ვრანგელის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა ტამანის ნახევარ კუნძულზე ალექსანდროვსკის მიმართულებით ბრძოლა ვითარდება. ვრანგელის ჯარი შეტევას აწარმოებს ამ მიმართულებით და ტყვეები მოყავს.

დელეგაციის შეხვედრის ცერემონიალი

ს.-დ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ევროპის დელეგაციის შეხვედრის ასეთი ცერემონიალი.

დელეგაციას სექტემბრის 14 ბათომში შეხვდება ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ს. ჯიბლაძე, მთავრობის, ბათომის პროფესიონ. კავშირის წარმომადგენელი და ბათომის ქალაქის თავი. იმ დღეს დელეგაცია დარჩება ბათომს ქალაქისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დასათვალიერებლათ. საღამოს დელეგაცია საგანგებო მატარებლით თფილისისაკენ, სადაც მეორე დილას ჩამოვა სადგურზე დელეგაციას შეხვდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები ნ. ჟორდანიას მეთაურობით. ამ ორგანიზაციათა შორის იქნება წარმომადგენლები მთავრობის, ს. დ ცენტ. კომ., დამფ. კრების ს. ფრაქციის პრეზიდიუმი, თფილისის ერობის, პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს, ქალაქის, სახალხო გვარდიის, ერობათა და ქალაქთა კავშირების, ქალთა ს. დ. ორგანიზაციის და სხ.

დელეგაცია წამოვა რუსთაველის პროსპექტით მისთვის საგანგებო მიჩენილ ბინაზე.

საღამოს ხუთ საათზე ნაძალადევში პლეხანოვის სახელობის მუშათა სასახლეში მოხდება მუშათა საბჭოს კრება პროფესიონალურ კავშირისა და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტთა მონაწილეობით. კრების გათავების შემდეგ თავისუფლების მოედანზე გაიმართება მიტინგი. შეხვედრის დეტალები დამატებით გამოქვეყნდება. (ს. დ. ს.)

ახალი ამბები

თანახმად სოციალისტურ დელეგაციის მიღების მომწყობ კომისიის დადგენილებისა, ევროპის დელეგატები დაათვალიერებენ საქართველოს რესპუბლიკის ყველა პროვინციის ცენტრებს.

საქართველოდან გადასახლება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დადგენილების თანახმად რესპუბლიკის საზღვრებიდან გადასახლებულ იქნა 400 უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომელნიც აქ ეწეოდნენ პარაზიტულ ცხოვრებას და როგორც გამოირკვა საქართველოში ცხოვრების ნებაც არ ქონდათ. ასეთი ზომები განმეორებულ იქნება, როგორც კი მგზავსი მდგომარეობა გამოირკვევა.

დაპატიმრება. ქვემოთ მოყვანილი პირნი სპეკულიაციას ეწეოდენ უცხო ვალიუტით და სხვა საქონლით იმ მიზნით, რომ საქართველოში გამოეწვიათ ფინანსიურ—ეკონომიური კრიზისი. ყველა ეს პირები დაპატიმრებული არიან საგანგებო რაზმის მიერ და თფილისის საგუბერნიო № 1 ციხეში იმყოფებიან. ს. დ. ს. გინცბურგი, ა. ფ. ხელიცი, ფ. ს. დ. სერებრიაკოვი, პ. პ. ქემხუენი, გ. კ. ვეტცელი, დ. მ. მოშიაშვილი, ი. მ. ჯაბაშვილი, დ. ი. თაყიდოშვილი, გ. ს. კაპლინსკი, ი. მ. როზენბერგი, შ. რ. ფანიაშვილი, ა. რ. ტერ არუთინოვი, ს. ს. ვასკანიანცი, ე. ი. პორტუგალოვი, ე. ა. კუნდურიადისი, დ. ი. ნეიფახი მ. ი. შრეიდერი, ე. ე. ხონდანოვი, დ. ზ. ხერხეულიძე, ა. ი. გავისტი, ვ. ვ. გურშტეინი, ე. ს. ხოდორსკი, ე. ს. ხოდორსკი, ი. ს. ხოდორსკი, ი. ს. ხოდორსკი, დ. ს. ხოდორსკი, დ. ს. ბერკოვინი. სახალხო ბანკის აგენტი ა. ზ. სემიკი, ო. ტ. ტერტომასიანი, გ. ბ. მუგდუსი სარკისიანი, გ. მ. არუტჩევი და ს. ი. ნიკოლაევი.

შეშა. მუშათა მაგიდამ მიმართა ტყის ინსპექტორს თხოვნით, რომ დასავლეთ საქართველოში რკინის გზის რაიონებში მიეცეს მას ნება მუშების და რკინის გზის მოსამსახურეების საჭიროებისათვის შეშის დამზადებისა. მუშათა მაგიდა აღნიშნავს, რომ მას დასჭირდება სულ 20,000 კუბიკური საჟენი შეშა.

თფილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ებრაელები, თავიანთ ნაციონალურ დღესასწაულების გამო თავისუფლდებიან შემდეგ დღეებში: 13, 14 და 15 სექტემბ. ამ დღეებში განთავისუფლდებიან ებრაელი მოწაფეებიც.

ფოთის გადამტვირთველები. სატარიფო პალატამ დაადგინა ახალი ტარიფი ფოთის მტვირთველ მუშებისათვის, ამის გამო დეპეშით ეცნობა ფოთში საზოგადოება „ჩემოს", რომ ამიერიდან მუშებს ანგარიში გაუსწორონ ახალი ტარიფის მიხედვით.

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექცია ამით აცხადებს, რომ ვინაიდან ცეკავშირმა, რომლის განკარგულებაშიაც კინემატოგრაფი არის, სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ შეასრულა დაპირება, ამიტომ ჯარის ნაწილებში კინემატოგრაფით მოგზაურობა დროებით შეჩერებულია.

კლუბებში, რესტორანებში და სასტუმროებში მომუშავეთა კავშირის დელეგატთა საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ 10 ამ თვეს დილის ათ საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია ამავე კავშირის დელეგატთა საბჭოს სხდომა. სხდომა კანონიერად ჩაითვლება რამდენიც დელეგატი არ უნდა დაესწროს.

მუსიკალურ სასწავლებელში. საქართველოს მუსიკალური საზოგადოება იუწყება, რომ კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები სექტემბრის 15 დაიწყებაო. მეცადინეობა სექტემბრის 20 დაიწყება.

მიწად-მოქმედების სამინისტროში. მიწად-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისია შორაპნის მაზრაში ტყეების დასათვალიერებლათ და ქალაქთა კავშირისათვის გადაცემულ შეშის დამზადების საქმის გასაფართოვებლათ. მიწად მოქმედების სამინისტროს გადასახადების განყოფილებამ გაგზავნა გრ. პოტკოვი ართაანის ოლქში სახელმწიფო მამულების რაოდენობის და იმის გამოსარკვევათ, თუ ვინ სარგებლობდა ამ მამულებით დღემდე.

ქუთაისის მუშები. ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს აუწყა მუშათა მაგიდამ, რომ მის მიერ მიღებულია ღონისძიებანი მუშებისათვის დასარიგებელ ქერის პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. ამავე დროს მუშათა მაგიდამ მიმართა მომარაგების სამინისტროს, რომ მან ქუთაისში მუშათა მაგიდის სახელზე პურის ღირსების გასაუმჯობესებლად გაგზავნოს ხორბალი.

თიანეთის მაზრაში. მიწად-მოქმედების სამინისტრომ თიანეთის მაზრაში გაგზავნა სპეციალური კომისია სახელმწიფო მამულების სამეურნეოს სარევიზიოდ.

კარტოფილის დამზადება. მუშათა მაგიდამ აუწყა რკინის გზის სასურსათო განყოფილებას, რომ ის თანახმაა დაამზადოს 100 000 ფუთი კარტოფილი.

ილია წინამძღვრიშვილის გარდაცვალების გამო ბათომიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა გლოვობს იშვიათი ქველმოქმედის, სახალხო სკოლის იდეალის გამსახიერების, ძვირფასი ილია წინამძღვარიშვილის გარდაცვალებას. გამგეობა.

— ბათომელი პარადი ჩეგუბრები უსაზღვრო მწუხარებას განვიცდით ჩვენი ერის უბადლო მოამაგის ილია წინამძღვარიშვილის გარდაცვალების გამო. წითლიძე, ღლონტი.

დღეს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლეში, აღმასრულებელი კომიტეტის ბინაზე დანიშნულია აღმასრულებელი კომიტეტის არაჩვეულებრივი კრება, რომელშიც აღმასრულებელი კომიტეტის გარდა უნდა დაესწრონ სეკრეტარიატის მთელი შემადგენლობა და რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი.

ნახშირის ნიხრზედ შევით გაყიდვისთვის ადმინისტრატიული წესით სამსამი თვით დაპატიმრებულ იქნენ 1) არშაკ ფარსადანოვი; 2) ბეჟან ბეჟანიშვილი 3) ალექსი მანუკიანცი და 4) გეურქ გამოევი.

კომისიის განცხადება. ევროპის სოც. დელეგაციის შეხვედრის მომწყობი კომისია აცხადებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დაუყონებლივ აცნობონ ერთობის ქუჩაზე, თუ ვის და როგორი სახით სურს შეხვედრაში მონაწილეობის მიღება.

მუშათა თეატრი. ქალაქის გამგეობის კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ, ავჭალაში მუშათა თეატრი გახსნა.

სურსათი სოხუმს მუშათა მაგიდამ მთავრობის საქმეთა მმართველს მის შეკითხვის საპასუხოდ აუწყა, რომ სოხუმში მოწყობილია მუშათა მაგიდა, რომელიც აკმაყოფილებს მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილებას სურსათით მხრივ.

ბათომის მუშები. მუშათა მაგიდამ აუწყა მომარაგების სამინისტროს, რომ ბათომის მუშათა მაგიდამ ყოველდღე უნდა მისცეს სურსათი 10.000 სულ მუშასა და მოსამსახურესა. ამის დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა ყოველ დღიურად ორასი ფუთი ხორბალი. ერთ თვეში ეს რიცხვი გაიზრდება 12.000-მდე, ასე რომ, დღეში საჭირო იქნება 250 ფ. პური.

საცხოვრებო მინიმუმი. ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლის წინადადებით, ფინანსთა სამინისტრო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დასაწესებლად საცხოვრებო მინიმუმის გადიდების კანონპროექტის შემუშავებას შეუდგა. განზრახულია საცხოვრებო მინიმუმის 12 ათასიდან 24 ათასამდე გადიდება.

შეცდომების გასწორება. გუშინდელ ნომერში მე-3 გვერდზე ევ. გეგეჭკორის მოგზაურობის შესახებ ცნობა მიღებულია **ხამბოლიდან** და არა სტავროპოლიდან. მე-4-ე გვერდის 1 სვეტზე „წერილი და მცველი თუ დამრღვევი", უნდა იყოს: „**წესრიგის** დამცველი თუ დამრღვევი".

კ რ ე ბ ე ბ ი.

ხუთშაბათს, 9 სექტემბერს, საღ. 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივის ჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, 9 სექტემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6-ე რაიონულ კოლლექტივის წევრთა მორიგი სხდომა კოლექტივის ბინაზე.

— დღეს, საღ. 6 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

პროვინციის ქრონიკა.

სიღნაღის სამასწავლებლო კურსები დათავდა 25 აგვისტოს. კურსებს ხელმძღვანელობდა სამაზრო სკოლების ინსტრუქტორი ნიკო გიორგის ძე აბმეტელაშვილი. სასურველია, რომ ასეთი კურსები იმართებოდეს ყოველ ზაფხულზე.

სვანეთში

(დეპეშა)

დავასრულეთ მთელს სვანეთში იარაღის აკრება. ვბრუნდებით კმაყოფილი. სვანეთი რჩება მთავრობის მადლობელი. ოთხ სექტემბერს მოწვეული გვყავს მთელი სვანეთის წარმომადგენლების საერთო ყრილობა ზოგიერთი კითხვების მოსაგვარებლად, ფრანგის მწერალი ქალი ოდეტკიუნი, რომელმაც ათი დღის წინეთ დაგვტოვა, გზაში დაგხვდა ყაჩაღთა ბრბოებისაგან შეშინებული. ყაჩაღებმა იარაღი ჩაგვაბარეს და მწერალი ქალი ხელმეორეთ მეშვიდობება მხიარული. რამოდენიმე დღე ჩვენთან იმგზავრა დამფუძნებელი კრების წევრმა ვლასა მგელაძემ.

რუბენ ყიფიანი.

აფხაზეთის ავტონომია

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგატებმა წერილობითი განცხადებებით მიმართეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, სადაც გამოთქმულია სურვილი, რომ დამფუძნებელ კრების მომავალ სესიაში გარჩეულ იქნას შემდეგი საკითხები: 1) ავტონომიურ აფხაზეთის საქართველოს ნაწილად ცნობის შესახებ, 2) იმ საქმეებში, რომელიც ექვემდებარება აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს, ამ ორგანოს მოქმედება იყოს სავსებით დამოუკიდებელი, და 3) ადგილობრივ აღმასრულებელ ძალად ჩაითვალოს ავტონომიურ აფხაზეთის მთავრობა. ეს საკითხი გაირჩა საკონსტიტუციო კომისიაში, რომელმაც დაადგინა: დებულება რესპუბლიკის ნაწილების ავტონომიის შესახებ გამომდინარეობს სახელმწიფოს საზოგადო კონსტიტუციიდან. აფხაზეთის ავტონომიის მიღება, ანუ ნაწილობრივი ცნობა ამა თუ იმ პრინციპისა,—შეუძლებელია, სანამ არ არის მიღებული კონსტიტუცია მთლიანად, 2) სახალხო საბჭოს დელეგატების მიერ განცხადებაში დასმულ საკითხების შეტანა დამფუძნებელ კრებაში დაუშვებელია, არჩეულ პარლამენტარულ წესების ძალით, 3) ავტონომიის პრინციპი, მიღებული კონსტიტუციის პროექტში, სავსებით უზრუნველყოფილია, 4) დებულება ავტონომიის შესახებ შეტანილი და გარჩეული იქნება დამფუძნებელ კრების მომავალ სესიაში. (დს)

სოც. დახმარების ცენტრ. საზოგადოება

ამ ჟამად სოც. დახმარ. ცენტ. საზოგადოების ბავშვთა სამ სახლში იმყოფება 157 ბავშვი, 25 ინვალიდი (15 ქალი და 10 მამაკაცი, მათ გარდა 75 ბავშვს და 100 მოზრდილს უფასოდ სადილს აძლევს იმათგან 60 ინვალიდია, 25 უმუშევარი, 15 სადილი ეძლევა ისეთებს რომელნიც ოჯახებში ცუდათ იკვებება. საზოგადოების გამგეობა ორთაჭალის ბავშვთა სახლში (№ 1) აწყობს ინვალიდების სახლს და ბავშვები იქიდან გადაყავს დიდუბის განმანაწილებელ პუნქტში, რომლის შეკეთება უკვე დაწყებულია.

საზოგადოების გამგეობამ დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა საკულინარო სკოლის და სასადილოს მოწყობისა. ხელმძღვანელათ მოწვეულია ქ-ნი შტეინბერგი. გახსნილი სკოლა იქნება მისტროვის სახელწოდებაზე, რომელმაც შესწირა საზოგადოებას დიდი ინვენტარი „კაპეიკის კავშირისა." სკოლა გაიხსნება ამ დღეებში მადათოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.

რწმუნებულთა საბჭოს სხდომა შესდგება 12 სექტემბერს, დილის 10 ს. სახელოსნოთა სახლში (ალექსანდროვის ქ. № 42) მუშაობა ჩვენ 8 სახელოსნოში ამ დროს იწარმოებს (მიუხედავათ უქმე დღისა) რომ რწმუნებულთ შეეძლოთ ჩვენი ბავშვების მუშაობის ნახვა. ყველა რწმუნებულნი ვალდებულნი არიან ამ კრებას დაესწრონ. დღის წესრიგი: 1) ანგარიში გამგეობის, 2) საზოგადოების წესდების განხილვა, 3) 1920 წლის ხარჯთაღრიცხვა, 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა და 5) მიმდინარე საქმეები.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

„პრავდა" კარლ კაუცკის შესახებ. მაშინ, როდესაც გერმანიის დამოუკიდებელსაც დემ. პარტია თავის წრიდან აძევებს მუშათა რევოლიუციის უკბილო ცილისმწამებელ კარლ კაუცკის, ქართულმა სოც.-დემ. პარტიის ყრილობამ იგი საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია. კარგია, რომ არის ისეთი სანაგვე, სადაც შეუძლიათ პარტიებს ჩაყარონ ნაყარნუყარი ხალხი თავის წრიდან—რენეგატები, ნაძირალები და სხ. („პრავდა" № 168).

ახალი მობილიზაციის დღეს მოსკოვში გამოცხადდა გაწვეულთა რიცხვის ერთი მეოთხედი. („კომ." № 119).

ხოლერა ს. ახლონში ახალგაზრდათა კავშირმა 100 საფლავი გასთხარეს ხოლერიანებისთვის. ამას გარდა 18 ხოლერიანი უკვე დამარხეს. ხოლერის მძვინვარების გამო საზამთროს გაყიდვა აეკრძალეს. („კომ." № 119).

ვრანგელის ფრონტზე როსტოვიდან გაიგზავნა 27 მოხალისე („კომ." № 117).

მოსავლის მოსაკრებათ როსტოვიდან სოფლებში გაიგზავნა მუშათა რაზმები. („კომ." № 117.)

სარეწავი გადასახადი. ფინოტდელების ყრილობის დადგენილებით კავკავში წელსაც შემოიღეს სარეწავი გადასახადი („პრომისლოვი ნალოგ"). თვითეულ სავაჭრო-სამრეწველო წარმოების გადატრიალებულ თანხის 5% გადახდებით. („კომ." № 117).

ბინის საკითხი კავკავში. „კომ." № 117-ში სწერია: ბინის საკითხი ძალიან მწვავეთ სდგას. ქალაქის საბჭოს საბინაო განყოფილებას დღემდე ვერ მოუწესრიგებია ბინის საკითხი. ბინების ცნობაში მოყვანა და მათი განაწილება წინანდებურად ქაოტიურათ სწარმოებს. საბინაო განყოფილებამ აქამდე ვერ მოაწყო თავისი აპარატი და ხშირათ არც კი იცის, თუ სად და რომელი სადგომი განთავისუფლდა. მართალია, ამ მხრით ხელს უშლიან სამხედრო ორგანიზაციები, რომლებიც არ აცნობებენ ხოლმე საბინაო განყოფილებას, როცა ბინას იცვლიან. ყოველ შემთხვევაში, ბინის კრიზისი უნდა მოწესრიგდეს და საბინაო განყოფილებამ ამას სერიოზულათ უნდა მოჰკიდოს ხელი.

ბრძოლა დეზერტირობასთან. თერგის ოლქის სტანიცა მარვინსკაიას მცხოვრებთ ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ისინი დეზერტირებს არ შეინახავენ. თუ აღმოჩნდა დეზერტირები, პასუხს მთელი სტანიცა აგებს. („კომ." № 118.)

ღვთისმშობლის მიძინების დღის უქმობა. კავკავში ღვთისმშობლის მიძინების დღე 28 აგვისტოს შრომის განყოფილების გამგის ბრძანებით ყველა დაწესებულება-წარმოებაში იუქმეს და ამ დღეს არ უმუშავნიათ. („კომ." № 118.)

დურგლების მობილიზაცია. 28 აგვისტოს კავკავსა და მის მიდამოებში გამოცხადდა დურგლების რეგისტრაცია. გადაწყვეტილია დურგლების მობილიზაცია სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის სამუშაოთა შესასრულებლათ. ვინც რეგისტრაციას გაექცევა, მას სამხედრო ტრიბუნალს გადასცემენ. („კომ." № 1.8).

საყოველთაო აღწერა. 31 აგვისტოს მთელ რუსეთში დაიწყო საყოველთაო აღწერა, რომლის მიზანია მცხოვრებთა რაოდენობის და საბჭოთა რუსეთის მთელი ქონების გამორკვევა.

„პატიოსანი შრომით". ასეთი სათაურით „კომ." № 120-ში ვკითხულობთ: არლოვის გუბ. სოფ. ცეცში ქალთა მონასტრის მოლოზნები ყველა ჩაეწერა მკერვალთა პროფესიონალურ კავშირში. ეხლა ისინი მუშაობენ ჰაკ-კრების განყოფილებაში. სამაზრო ქალთა განყოფილება მონოზნებში პოლიტიკურ მუშაობას იწყობს.

მეტომრეები („მეშოჩნიკები"). დონის ოლ. კომიტეტმა გადასწყვიტა მკაცრი ზომები მიიღოს მეტომრეების წინააღმდეგ, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვთ. მეტომრეებს იძულებით სამუშაოებზე გაგზავნიან. („კომ." № 120).

ბრძოლა დეზერტირობასთან. დანკოვი, 14 ივლისი. „კომდეზერტირ"-მა 365 სახლის პატრონს ჩამოართვა, კონფისკაციის წესით, 223 ცხენი, 36 ძროხა, 10 ხბო, 345 ცხვარი, 26 ღორი („იზვესტია" № 155).

პეტროგრადის მუშა-მენშევიკების აზრი ბოლშევიკების მთავრობაზე. ესერების ორგანო „ნაროდნოე დელო"-ში მოთავსებულია პეტრადელ მენშევიკ-მუშების შემდეგი წერილი: „რუსეთი სისხლში იღრჩობა. კომუნისტური მთავრობა სპობს საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველივე საფუძველს, ანადგურებს საუკეთესო გონებრივ ძალებს. გარეშე ქვეყნის წინაშე ეს მთავრობა აცხადებს თავის-თავს მუშებისა და გლეხების მთავრობათ. ის ელაქუცება ხალხის ბრბოს, აძლევა ძალიან ბევრ დაპირებებს, რომ ყველაფერს ნებას დართავს, მაგრამ იგი მტკიცეთა სდგას მხოლოდ თავის განუსაზღვრელ თვითნებობის და ძალადობის გამო. და შემდეგ „ცალცალკე მუშების დატუსაღების შემდეგ, ეს მთავრობა შეუდგა პეტროგრადის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების მოსპობას. ჩვენ მუშა-სოციალისტები სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ამ ახალ ბოროტების წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მოძალადეებისა და ბოროტმოქმედთა მთავრობასთან არაფერი საერთო არა გვაქვს". („იზვესტია" № 155).

„წითელ" ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

ინფორმაცია. „კრასნი ვოინი"-ს № 180-ში სწერია: თელავის მაზრის ჩვენი მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებნი სტოვებენ თავიანთ სოფლებს და ადერბეიჯანის მიწა-წყალზე გადმოდიან, ჯარის მიერ ჩადენილ ძალადობით შეწუხებულნი".

„ეშინიათ". ამ სათაურით „კრ. ვოინ"-ის № 180-ში დაბეჭდილია შემდეგი: ბათომში მასიური დაპატიმრება ხდება უმუშევრების, პოლიტიკურების და რუსის აფიცრების. პოლიტიკურებს საქართველოს საზღვრებიდან აძევებენ, ხოლო იმ აფიცრებს, ვინც ვრანგელთან წასვლაზე უარს განაცხადებს, კონცენტრაციულ ბანაკში გზავნიან. აფიცრები აჭარაში გარბიან".

სატრანსპორტო ბეგარა. შუშაში ყარაბაღის გლეხთა ყრილობაზე დელეგატებმა უკმაყოფილება გამოსთქვეს. იმით სატრანსპორტო ბეგარას (ურმების და სხ.) ყველას ერთნაირად არ ახდევინებენ და მოითხოვეს, რომ მიკერძობას ადგილი არ ქონდეს. („კრ. ვოინ" № 180)

კომუნისტური პარტიის პროგრამა. „კრ. ვოინ"-ის № 146-ში სწერია: „ამხ. უპარტიო მიროვი ასე უპასუხებს ამხ. კონევს, რომელიც თავის წერილში მოუწოდებდა კომუნისტურ პარტიაში ჩასაწერათ: „როგორ შევიძლია ჩვენ პარტიაში შესვლა, როდესაც კომისრები სრულიად არ ასრულებენ პარტიულ პროგრამას და თავის თანაშემწეებათ იყვანენ უპარტიო ქალებს და ხშირათ ლოთობენ".

პროფესიონალურ კავშირებში

უკანასკნელი მომატების შესახებ.

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ აცნობა პალატას, რომ მწარმოებელთა დიდი უმრავლესობა უარს აცხადებენ მუშებისათვის უკანასკნელ მომატების მიცემაზე. ისინი ეყრდნობიან იმას, რომ მათთვის ამის შესახებ ოფიციალურათ არაფერი უცნობებიათ. კავშირს უხდება ყველა მწარმოებლებს ცალ-ცალკე აცნობოს პალატის დადგენილება, ამასთანავე ზოგიერთებს ვერც კავშირის ცნობა აკმაყოფილებს. ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა, ღებულობს რა მხედველობაში პალატის მუშაობასა და გადაწყვეტილებაში კაპიტალისტთა წარმომადგენლის მონაწილეობას ისეთივე უფლებით, როგორც მუშათა წარმომადგენელი, აცხადებს სასტიკ პროტესტს მწარმოებელთა ასეთი მოქცევის გამო და სთხოვს პალატას აცნობოს მწარმოებელთა ორგანიზაციებს, რომ პალატის დადგენილება მათთვის სავალდებულოა.

ქალაქთა კავშირის მექანიკურ სახელოსნოს მუშები.

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ მიმართა სატარიფო პალატას იმის შესახებ, რომ ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი თავის მექანიკურ სახელოსნოს მუშებს 1 ივნისიდან აძლევს ჯამაგის იმავე სახით, როგორიც სატარიფო პალატამ დაადგინა სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებისათვის, მაშინ, როდესაც ქალაქთა კავშირის მოსამსახურეებზე უნდა გავრცელებულიყო იმ სახის როგორც სატარიფო პალატამ დაადგინა კერძო დაწესებულებებისათვის ამ ნიადაგზე კავშირსა და ქალაქთა კავშირის კომიტეტს შორის კონფლიქტის თავიდან ასაშორებლათ, ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა სთხოვს სატარიფო პალატას პრეზიდიუმს წერილობით დაამტკიცოს, რომ ქალაქთა კავშირის მექანიკურ სახელოსნოს მუშებმა 1 ივნისიდან უნდა მიიღონ სამუშაო ქირა იმავე წესით, როგორც ღებულობენ კერძო დაწესებულებებში.

მშენებელ მუშათა და ხეზე მომუშავეთა კავშირების გაერთიანება.

31 აგვისტოს შესდგა მშენებელ მუშათა და ხეზე მომუშავეთა კავშირების შეერთებული სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ხსენებულ კავშირების გაერთიანების შესახებ. აზრთა ხანგრძლივ გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ დაადგინა: მშენებელ მუშათა კავშირი და ხეზე მომუშავეთა კავშირი გაერთიანდეს სექციურ საფუძველზე, კავშირს დაერქვას „მშენებელ მუშათა და ხეზე მომუშავეთა კავშირი" და არჩეულ იქნას 7 წევრისაგან შემდგარი ცენტრალური გამგეობა. ამავე კრებაზე არჩეულ იქნა კავშირის გამგეობა და ქალ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოთა წარმომადგენლებათ ამხ აგლაძე და ეფრემოვი.

ქ. თფილისის სამკურნალო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირში.

3 აგვისტოს შემდგარ კავშირის გამგეობის სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) გერმანულ საავადმყოფოს მოსამსახურეთა წარმომადგენლის განცხადება მოსამსახურეთა ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების დათხოვნის შესახებ. 2) მოწყალების დების კავშირთან გაერთიანებაზე. საავადმყოფოს მოსამსახურეთა განცხადება და მორიგი საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ დადგენილ იქნა: ეთხოვოს ქალ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს წინადადება მისცეს გერმანულ საავადმყოფოს ადმინისტრაციის შეაჩეროს კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების დათხოვნა. დათხოვნის მიზეზისა და ლაზარეთის ადმინისტრაციის პროფესიონალურ კავშირის ანგარიშს გაუწევლობის შესახებ სეკრეტარიატში მოხსენების გაკეთება მიენდო გამგეობის თავმჯდომარეს ამხ შენგელიას. მოწყალების დების კავშირთან გაერთიანების შესახებ დადგენილ იქნა: შეუერთდნენ მოწყალების დების კავშირს. კავშირთან დაარსდეს მოწყალების დათა სექცია. მოწყალების დათა კავშირის გამგეობის სურვილი სექციასთან დროებით დარჩეს მოწყალების დათა დამხმარე ფონდი, დაკმაყოფილებულ იქნას. მოწყალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა კავშირთან არსებული შრომის ბიურო გაუქმებულ იქნას გაერთიანებისათანავე, ხოლო უმუშევართა სია გადაეცეს შრომის ბირჟას. ეთხოვოს თფილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს მოწყალების დათა სექციისთვის დაუთმოს მათ მეორე ოთახი. გამგეობამ მოისმინა რა არეშევის სამკურნალოს მოსამსახურეთა განცხადება, დაადგინა: მოეთხოვოს ექიმ არეშევს დაუყონებლივ მისცეს თავის მოსამსახურეებს კუთვნილი ივნისისა და ივლისის დახმარება და აგვისტოს მომატება. წარმომადგენლის შეკითხვაზე სალიკვიდაციოს შესახებ, გამგეობამ განუმარტა არეშევის საავადმყოფოს ლიკვიდაციის დროს უკანასკნელმა სრულიად უნდა გადაიხადოს სალიკვიდაციო.

დაუდევრობა რკინის გზებზე

ერთ არანორმალურ მოვლენას აქვს ადგილი რკინის გზაზე, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

საერთოდ მიღებულია, როდესაც რომელიმე სამინისტრო ანუ საზოგადო ორგანიზაცია ფასდადებით უგზავნის ერობებს, ქალაქებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პროვინციებში ხორბლეულობას ანუ სხვა რაიმე საქონელს, ეს უკანასკნელი გამოსყიდული უნდა იქნეს მიმღებისაგან და რკინის გზის მარაველობის საშუალებით გადაცემული დანიშნულებისამებრ.

მაგრამ ეს ასე ხდება. თავის დროზე გადასაცემი თანხა თვეობით რჩება რკ. გზაში რაღაც მოსაზრებით და ოდესღაც ეღირსება მას პატრონი გადაგზავნა დანიშნულებისამებრ მოვიყვან ერთ მაგალითს: 11 აგვისტოდან რკინის გზის საბუთით № 463,729 სენაკის თვითმართველობამ მიიღო მომარაგების სამინისტროსაგან ფასდადებით 300 ფუთი სიმინდი, ფული გადაეცა რკინის გზას დაუყონებლივ, მაგრამ სამინისტროს ეს თანხა დღემდე არ მიუღია. ასეთი მაგალითები ჩვენ კიდევ შეგვეძლო ბევრი დაგვესახელებია, მაგრამ ერთიც კმარა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე რკინის გზის მიერ ფულის არ გადაცემა დანიშნულებისამებრ ძლიერ აფერხებს თვითმართველობების და საზოგადო ორგანიზაციების მუშაობას, ამიტომ საჭიროა რკინის გზათა სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

თუ ერობებს ასე ექცევიან, კერძო პირები რა მდგომარეობაში უნდა იყონ? ამაზე მკითხველმა ივარაუდოს.

ალ. კო—ლი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 2 სექტემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. მ. წიწვაძე. სხდომამ მოისმინა მოხსენება თფილისის და ცენტრალურ კომიტეტებიდან, და სასურველად სცნო ყველა ის ზომები, რომლებიც მიღებულია ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. კოლლექტივმა ღირსად სცნო აღძრას შუამდგომლობა განათლების სამინისტროში, რათა სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქნეს ორი ახალგაზრდა საზღვარ-გარეთ, ნ. მიქაძე და ივ. გოგუაძე.

დღიურ წესრიგში იყო წამოყენებული მუშათა ბინების საკითხი და შექმნილი უმწეო მდგომარეობა. გამოირკვა, რომ, ბინების უქონლობით საშინელ პირობებში არიან მუშები, ამ მხრივ საკითხი დღითი დღე მწვავდება, ამიტომ კოლლექტივმა გადასწყვიტა შეაგროვოს მთელი მასალები და გადატანილ იქნეს თფილისისა და ცენტრალურ კომიტეტში, რათა გამონახულ იქნეს გზა ამ საკითხის მოსაგვარებლათ.

9 სექტემბერს განზრახულ საღამოს გამართვაში, რომლის შემოსავალმა უნდა გააძლიეროს სომხური გაზეთი „ბანვორი ძაინი". მესამე რაიონული კოლლექტივი აგზავნის თავის ძალებს დასახმარებლათ, და ანდობს მდივანს მიიღოს ზომები შემოწირულების შესაკრებათ.

„სლონის" ქარხნის მუშის თეოფ. ხეჩიაშვილის შესახებ კოლლექტივს გამოაქვს შემდეგი დადგენილება: ვინაიდან თეოფ. ხეჩიაშვილის მოქმედება გამოწვეული იყო გაუგებრობით და ამ გაუგებრობამ გამოიწვია ქარხნის მუშებში არევ-დარევა, ამიტომ ეს საკითხი სავსებით მოიხსნა დღიური წესრიგიდან და აირჩა კომისია, რომელსაც ევალება „სლონის" ქარხნაში წავიდეს და განმარტება მისცეს მუშებს ამ საკითხის შესახებ.

ვერხვი.

—

ბათომი. 20 მარიამობისთვეს შესდგა ბათომის 1 რაიო. კოლლექტივის კრება, დაესწრო ყველა წევრები, თავმჯდომარეობდა ამხ. ტ. ტულუში. რკინის გზის მუშა მოსამსახურეების პურის შესახებ პრეზიდიუმი აკეთებს მოხსენებას და აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში პური თვეში 7 დღეს არ ეძლეოდათ, ძალიან ხშირათ ცომია, შაქარი კი ეძლევათ ნახევარი რაციონი. ზოგიერთი სანოვაგე კი იყიდებოდა იმ ფასებში. როგორიც არის ბაზარის ფასებში, ამავე დროს სასურსათო მაღაზიაში ქონდა ალაგი ქურდობასაც.

როცა უპურობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო, ერთ დღეს მუშები ძლიერ აღელდენ, მაგრამ მოწინავე ამხანაგებმა დააშოშინეს, არ ვიცით რამდენათ მიღებულია ზომები ამ დეფექტების გამოსასწორებლათ, მაგრამ ჯერ ნაყოფს ვერას ვხედავთ, პირობები ისეთი უნუგეშო არის, როგორიც იყო წინეთ. კოლექტივმა დაადგინა: ეთხოვოს რაიონულ გამგეობას, რომ მან მიიღოს საჩქარო ზომები ამ დეფექტების გამოსასწორებლათ. მოწვეულ იქნას საზოგადო კრება რკინის გზის პროფეს. კავშირის წევრების მუშა-მოსამსახურეებისა. სადაც გაკეთებულ უნდა იქნას ამ კითხვის შესახებ მოხსენება.

ხაშა.

მუშათა შორის

თფილისის საქონლის სადგური. 30 აგვისტოს კანდუქტორთა აუდიტორიაში თ. მეგრელიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თფილისის საქონლის სადგურის მუშების და მოსამსახურეების შეერთებული კრება. კრებამ მოისმინა ამხ. თ. მეგრელიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე და განიხილა სხვა საყურადღებო კითხვები. მოსმენილ იქნა აგრეთვე თფილისის საქონლის სადგურის კავშირის თავმჯდომარის ქლენტის მოხსენება ადგილობრივი კავშირის კომიტეტის გასული წლის მოქმედების შესახებ.

დასასრულ არჩეულ იქნა 7 წევრისა და 4 კანდიდატისაგან შემდგარი ახალი კომიტეტი.

ს. ქრისტინეშვილი.

—

ჭიათურის მუშათა მაგიდა. (შრომის კომისარის მოხსენება). ჭიათურის მუშათა მაგიდამ მოქმედება დაიწყო ამა წლის მაისში. 15 აგვისტომდე სახელმწიფო სასურსათო ფონდიდან შემდეგი რაოდენობის სურსათი და საქონელი მიიღო: 1) პურის ფქვილი 3500 ფუთი 2) სიმინდი 1000 ფუთი, 3) შაქარი 250 ფუთი, 4) სამარხვო ზეთი 20 ფუთი 5) მანუფაქტურა და ფეხსაცმელი 1,253,192 მანეთის. მიღებულ საქონელს მუშათა მაგიდა აძლევდა ადგილობრივ კოოპერატივს, რომელიც ურიგდებოდა მაგიდის წევრებს იმ წიგნებით, რომელიც დარიგებული ქონდათ მათ მაგიდიდან. 15 აგვისტოს მუშათა მაგიდის წევრებათ ირიცხებოდენ: სახელმწიფო მოსამსახურეები 290 ოჯახის წევრებით 543, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეები 65, ოჯახის წევრებიანათ 194, კერძო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები 1462, ოჯახის წევრებიანათ 3807, როგორც ვხედავთ ნაჩვენები ცხრილიდან წევრთა საერთო რიცხვის 80 პროცენტი და ოჯახის წევრთა რიცხვის 86 პროცენტი არიან ისეთი პირები, რომლებიც კერძო დაწესებულებებში მსახურობენ.

უკანასკნელ დროში მუშათა მაგიდას წევრთა თვითეულ კატეგორიისთვის განსაკუთრებული სიები აქვს, ამასთანავე „ჩემოს" მუშა მოსამსახურეები გამოყოცალკე.

მაგიდის მონაწილენი დაყოფილი იქნენ ორ კატეგორიათ: პირები, რომლებიც მუშაობენ ა) გონებრივ შრომით და ბ) ფიზიკურათ. უკანასკნელი თავის მხრივ დაყოფილია 1) ვინც სცხოვრობს ჭიათურაში ან მაღაროებთან ოჯახობით და 2) მარტოხელნი პირნი, რომელნიც გონებრივი შრომით მუშაობენ და მუშები, რომლებიც ოჯახობით ცხოვრობენ ჩვეულებრივ რაციონს ღებულობენ, ე. ი. სულზე თითო გირვანქა პური დღეში და 1 გირვანქა შაქარი თვეში. რაც შეეხება მარტოხელა მუშებს—მათ ეძლეოდათ 3 გირვანქა პური დღეში და 3 გირვანქა შაქარი თვეში.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მდგომარეობას, რომ მაღაროებში მცხოვრებთა 25 პროცენტი მახლობელ სოფლების მცხოვრებნი არიან, რომლებიც დილით მოდიან სამუშაოზე და სამუშაოს გათავების შემდეგ სახლში ბრუნდებიან და რომ ჭიათურაში ოჯახობით მცხოვრებთა მუშების რიცხვი ძლიერ ცოტაა, უნდა აღინიშნოს, რომ მარგანეცის სამრეწველოში მომუშავე 25 პროცენტი თფილისის მუშებზე სამჯერ მეტს ღებულობენ. ჭიათურის მუშათა მდგომარეობა შეიძლებოდა შედარებით დამაკმაყოფილებლათ ჩაგვეთვალა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათთვის რეგულიარულათ პურის მიწოდება; აქ ხშირია შემთხვევა, როცა მთელი კვირაობით მუშებს არ ეძლევათ პური, მხოლოდ მარგანეცის მწარმოებელნი სასურსათო ფონდიდან პურით არ სარგებლობისათვის არ აძლევენ მუშებს სამუშაო ქირის 25 პროცენტს. ისინი თავიანთ მოქმედებას იმით ხსნიან, რომ მათ ერთხელ შეიტანეს სახელმწიფო ფონდში დაწესებული ერთდროული გადასახადი და მათი ბრალი არ არის, თუ მუშათა მაგიდა რეგულიარულათ არ აწვდის თავის წევრებს სურსათს. ასეთ შემთხვევებში მუშათა მდგომარეობა აუტანელი ხდება, ვინაიდან მათი სამუშაო ქირა ძლივს ყოფნის ბაზარზე ძვირად ნაყიდ პურს. მუშათა მაგიდის მოქმედების გაცნობის დროს გამოირკვა, რომ ყოფილა რამოდენიმე შემთხვევა სხვისი წიგნაკით სურსათით სარგებლობისა და წიგნაკში არ არსებული წევრების შეტანისა. ასეთ შემთხვევაში მუშათა მაგიდის საქმის მწარმოებელი კომისია წიგნაკის პატრონს ერთი თვით უსპობდა სურსათით სარგებლობის უფლებას. ამ ბოროტებასთან უფრო მიზან შეწონილ ბრძოლისათვის, მუშათა მაგიდამ აირჩია სპეციალური კომისია, რომელმაც სამწუხაროთ ვერ გამოიჩინა მოქმედების უნარი. მაღაროებისა და ქარხნების მუშების სიებს ამოწმებს მუშათა წარმომადგენელი. მუშათა მაგიდის საქმის მწარმოებელ კომისიამ დაადგინა: სიებიდან ამორიცხონ ისეთი მუშები, რომელნიც ორშაბათიდან არ შეუდგებიან მუშაობას. სამუშაოს მიმცემს ევალება არა უგვიანეს სამშაბათისა წარმოადგინოს ცნობა ასეთი მუშებისა. მაგიდის ანგარიშები და მონაწილეთა მოძრაობის სტატისტიკა არ არის სასურველათ დაყენებული, რაც აიხსნება მომზადებულ პირთა არ ყოლით. რომ ხსენებულ რაიონის მუშებს მიზანშეწონილათ ურიგდებოდეთ სურსათი, საჭიროა, დაყოფილ იქნას მუშები ორ ჯგუფათ,—ისეთი, რომელნიც 1) მუდმივათ მუშაობენ და 2) დროებით. ჩვენ ყოველევე საშუალება უნდა ვიღონოთ, რომ ხელი შევუწყოთ, მუშები მჭიდროთ დაუკავშიროთ წარმოებას და შევაჩვიოთ ისინი ერთ ადგილას მუშაობას. ამ მიზნით, ჩემი აზრით, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ პირებს, რომელთა ბედი წარმოებისაგან არის დამოკიდებული და რომლებიც ეჩვენენ მაღაროებთან მუდმივ მუშაობის ტენდენციას. სხვა ზომებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ასეთი მუშების მეტად უზრუნველყოფას ვიდრე ის მუშები, რომელთა მუშაობას ჭიათურის მრეწველობაში დროებითი ხასიათი აქვს. ჭიათურის მუშათა მაგიდა უნდა აძლევდეს სურსათს მუშათა და მოსამსახურეთა მუდმივ კონტინგენტს, რომელიც მუშაობენ მარგანეცის წარმოებაში. დანარჩენი მუშები კი, რომელთა მუშაობას დროებითი ხასიათი აქვს, როგორც მაგალითად ქარხნის, მაღაროსი და სხვა შეკეთება, და აგრეთვე ის პირები, რომლებიც მაღაროებში 2—3 დღე მუშაობენ კვირაში, უნდა ამოირიცხონ მუშათა მაგიდიდან.

როგორც ზევით არის აღნიშნული, იმ პირთ, რომელნიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, შავი ქვის რაიონის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილებით უნდა მიეღოთ ყოველ დღე 3 გირვანქა პური, მაგრამ ფქვილის უქონლობის გამო ხშირათ ვერაფერს ღებულობდენ. ვინაიდან ამ დროში არ არის იმედი ცენტრიდან რეგულიარულათ პურის მიღებისა და ჭიათურის მუშათა მაგიდას არა აქვს გარანტია იმისი, რომ შესძლებს დადგენილების რეალიზაციას, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ფიზიკურ შრომით მომუშავე მუშებს ყოველ დღე მიეცეთ 2 გირვანქა პური, ვინაიდან უმჯობესია 2 გირვანქა პური ქონდეთ, ვინემ კვირაში 2—3-ჯერ სამ-სამი გირვანქა, შემდეგ 1 გირვანქა და ზოგჯერ სულაც არა.

რაც შეეხება შაქრის მიცემას, მუშათა მაგიდა მტკიცეთ უნდა დაადგეს რესპუბლიკაში არსებულ საერთო წესს, ე. ი. კატეგორიის განურჩევლად მიეცეს სულზე 1 გირვანქა შაქარი.

გაზ. „კლდის" საპასუხოდ

გაზეთი „კლდე" მთელ მეთაურს უძღვნის სენაკის სამაზრო ერობის მოქმედებას. ჩვენ არ ვიცით რით დაიმსახურა ერობამ „კლდის" ძვირფასი ყურადღება. ვიტყვით მხოლოდ, რომ ერობის მეგობრებს არ შეუძლიათ შესაფერი მადლობა არ მოახსენონ „კლდის" იმ დაუმსახურებელ პატივის გამო, რომელიც დასდო მან ერობას თავისი მეტად თავაზიანი და მიუდგომელი დაფასებით. შეიძლება ჩვენი სუსტი ძალებით ვერც კი შევსძლო ამ მადლობის ღირსეულად გამოხატვა. ამისათვის ჩვენ—კადნიერებათ ნუ ჩამოგვერთმევა—წინდაწინვე ვიხდით ბოდიშს..

ფრიად პატივცემული მეთაურის ავტორი—ვინმე პროვინციელი თავის საინტერესო მსჯელობას იწყებს საერთოდ ერობათა დახასიათებით. დაკვირვებული ავტორის სიტყვით, დღევანდელი ერობები იგივე ძველი სამთავროებია, ერობის მოხელე იგივე მდივანბეგია, გამგეობის თავმჯდომარე მეფეა—იმპერატორი. ამ სახით ეჩვენება ავტორს ერობა. ცნობილი ლამანჩელი აზნაურიც ამგვარივე ჩვენებით იტანჯებოდა. მიუხედავათ სანჩოს მეტად სერიოზულ ახსნა-განმარტებისა, რაინდ დონს დიდყურა ოთხფეხი (ყარაბაღის ჯიშისა) ყოველად სამღვდელო ეგონა, ცხვრის ფარა—მტრის უძლეველი ლაშქარი, განსაკუთრებით ქარის წისქვილებთან მოსდიოდა რაინდს მრავალი უსიამოვნება, არა ერთი შეტაკება ქონია მათთან და თუმცა ხშირად დამარცხებული გამოდიოდა, სამაგიეროდ, რაც უნდა დიდი ბრძოლით ყოფილიყო გატაცებული რაინდის მაღალ ღირსებას—გულწრფელობას—არ კარგავდა. დაბალი გრძნობა, ცუდი ზრახვა, ბოროტება შორს იყო მისგან.

გაზ. „კლდის" ფაფარაყრილ ავტორში სულ სხვას ვხედავთ. ის, მართალია, იბრძვის, მაგრამ მისი ბრძოლის მიზანი, ისე როგორც საშუალებაც, არა თუ მოკლებულია გულწრფელობას, ის სრულიად მოკლებულია იმ უბრალო პრიმიტიულ ხასიათის, ასე ვთქვათ, რიგიანობასაც, რომელიც სავალდებულოა გაზეთ „კლდის" ხალხისთვისაც კი.

რით, თუ არა უაღრეს ღვარძლიანობით, აიხსნება ავტორის წერილის ის ადგილი, სადაც ის სასურსათო გამგის პიროვნებას თელავს მაშინ, როდესაც ყველასთვის აშკარაა, რომ მთელი ის კამპანია, რომელსაც აწარმოებდნენ გამგის წინააღმდეგ განსაზღვრული ჯგუფები ჩარჩების და მათ აჰყოლ პირების სახით, სამარცხვინოთ გათავდა. რით, თუ არა ბოროტი სურვილებით, აიხსნება მეთაურის ის ადგილი, სადაც დაცინვის კილოთი მოხსენებულია აძერბეიჯანის ფრონტიდან დაბრუნებულ გვარდიელებისათვის მოწყობილი სადილი. ის გვარდიელები, რომლებიც თავის სისხლით იცავდნენ ჩვენს სამშობლოს სახელს და პატივს, ჩვენს დამოუკიდებლობას, განა ღირსი არიან ასე უდიერათ ხსენების? განა მარტო ეს არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო საეჭვო პიროვნებებთან, არამედ სამშობლოს უარმყოფელ ხალხთან, და ამის შემდეგ „კლდე" გაბედავს და იტყვის, მე ნაციონალურ იდეის მატარებელი ვარო? ავტორის თქმულება, რომ სადილზე ჯარისკაცები არ დაუშვა ერობამ განა სიმართლეს ოდნავ მაინც შეიცავს? განა პროვინციელ ავტორმა თვითონ კარგათ არ იცის, რომ ქ. სენაკში არც ერთი ჯარის ნაწილი არაა, რომ გვარდიელების მოსვლის დღეს არც ერთი ჯარის კაცი მათთან არ ჩამოსულა, რომ ის ჯგუფი ჯარისკაცებისა, რომლებიც იყო იმ დღეს სოფლებიდან მილიციის საშუალებით მოგროვილი ერობის შენობაში იყო დეზერტირები ფურთხის და არა საპატიო სადილის ღირსი? იცის ეს ყველაფერი პატივცემულმა ავტორმა, მაგრამ მას რა ენაღვლება. ამ გვარ ხასიათის ცილისწამებით აჰყროლებს არემარეს, დააყენებს მთელ წუმპეს, და აშმორებული ატმოსფერა ხომ ამ გვარ ვაჟბატონების სტიქიაა. ჯარისკაცების წასისინება გვარდიელებზე, ეს ხომ კარგად ცნობილ ჯგუფის საამდროო ლოზუნგია.

განა იგივე არ ითქმის ერობის ხარჯით პარტიულ დელეგაციის გაგზავნაზე, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ქონია, ანდა სუხუმ-სენაკის ერობათა ომზე, რაც მტკნარ სიცრუეს წარმოადგენს; მაგრამ განა საქმე ამაშია? მთელი ეს ვაკხანალია ერობის მოღვაწეთა წინააღმდეგ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს: ერობის პრესტიჟის დაცემას ხალხის თვალში. ამით აიხსნება იმის გამოყენებაც, რომ ერობის ერთ დარგში ნაციონალიზაცია სავსებით არაა გატარებული. მერე რაო, ბატონებო, რა გინდათ ამით სთქვათ. ნუ თუ ის, რომ ერობამ თქვენისთანა „პუბლიკას" ადგილი დაუთმოს და მცოდნე სპეციალისტებს უარი უთხრას მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი უცხო ენაზე ლაპარაკობენ. ამაზე ნურას უკაცრავად!

ჩვენ სრულიად არ გვინდოდა პასუხის გაცემა „კლდისთვის". ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ ზოგიერთ სიბინძურეს უმჯობესია შორს მოუაროთ, ვინემ ფეხი დავაბიჯოთ მას. მაგრამ, როდესაც გაზეთი „გრუზია" თავის ფურცლებზე სავსებით აღაგებს „კლდიდან" გადმობეჭდილ მეთაურის მთელ სიბინძურეს, ჩვენ არ შეგვიძლია სანიტარულ მოსაზრებებით მაინც ერთგვარი სიმკვეთრე არ გადავასხათ ორივე წარჩინებულ ორგანოთ. დეე, სადაც თავისას იტყვიან, ჩვენც გაგვიგონონ!

ხაზარდა.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.

თფილისის სადარაჯო ათასეულში. 27 აგვისტოს თფილისის სადარაჯო ათასეულში დამფ. კრ. წევრმა ამხ. გრ. ცინცაძემ და ა. ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება მომენტზე. მომხსენებელი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს. სასურველია ასეთი მოხსენებები ხშირად იმართებოდეს სხვა გუნდებშიაც.

ჯიხველის პირელი.

—

ხაშურის გვარდიამ ერთ თავის საზოგადო კრებაზე აირჩია კულტურულ განმანათლებელი კომისია და მუშაობასაც შეუდგა.

პირველი ნაბიჯი, რომელიც კომისიამ გადასდგა, ეს გახლდათ საზაფხულო სცენის მოწყობა იაფ ფასიანი წარმოდგენებისათვის. სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში შტაბის ეზოში მოაწყვეს მშვენიერი და ფართო სცენა. ამ სცენაზე ჩვენმა მსახიობებმა და სცენის მოყვარეებმა უკვე რამდენიმე წარმოდგენა გამართეს, ხალხი მეტათ ბევრი ესწრებოდა და ნასიამოვნებიც ბრუნდებოდა სახლებში.

სცენის შემდეგ კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შტაბთან არსებულ სამკითხველოს, რომელიც მეტათ ღარიბი იყო წიგნებით და არც შეძლება ჰქონდა შტაბს სამკითხველოსათვის სისტემატიურათ მიეწოდებია ჟურნალ-გაზეთები და ლიტერატურა. კომისიამ შეავსო სამკითხველოს კატალოგი, დაიკვეთა ყველა ჟურნალ გაზეთები, მიუჩინა გამგე. სამკითხველოს კარები ღიაა დილიდან საღამომდე და გვარდიელებიც მრავლათ დადიან.

კომისიას, რომლის განკარგულებაშიც არის მშვენივრათ მოწყობილი დარბაზი, გადაწყვეტილი აქვს ლექტორების სისტემატიურათ მოწვევა ლექციებისა და მოხსენებების გასაკეთებლათ. განზრახულია აგრეთვე სოფლებში ფართო მუშაობის გაჩაღება, მაგალითად: პროპაგანდა აგიტაცია, მოძრავი წარმოდგენები, კონცერტები, ლექციები, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და სხვა.

ნიკო გურული.

პროვინცია

ვანის თემი (ქუთ. მაზ.) ვანის თემის ფარგლებში ყაჩაღობა და თავდასხმა სისტემატიურათ ხდება. ჯერ კიდევ ორი კვირა არ გასულა მას შემდეგ, რაც ამაღლების ბაზრებიდან ვანში მიმავალი ებრაელები გაძარცვეს, რომ თავდასხმა ისევ განმეორდა იმავ გზით მიმავალ ებრაელებზე. ადგილობრივი ადმინისტრაცია აპატიმრებს ბოროტ-მოქმედ პირებს, მაგრამ უმაღლესი ინსტანცია—გამომძიებელი და სხვა ისევ ანთავისუფლებს, რაც არა სასიამოვნო შედეგებს იწვევს და ხალხიც გულგრილათ ეკიდება ბოროტმოქმედების აღმოჩენას. საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და საჩინოს მხარეში აუცილებლათ უნდა მოვიდეს განსაკუთრებული კომისია მდგომარეობის გამოსარკვევათ.

თითქმის ერთი წელიწადი სრულდება, რაც საჩინოს რაიონის აგრარული კომისიის მიერ ქრთამის აღების ირგალივ განგაშია ატეხილი, და ეს განგაში დღესაც არ დასრულებულა. ეს საკითხი მე მგონია მნიშვნელოვანი საკითხია, და ასე დაგვიანება ამ საქმეში შეუძლებელია. მოიღეთ ბ-ნებო მოწყალება, დაგვანახეთ გამორკვეული საქმე. თუ სუპატაშვილმა და გოგორიშვილმა ქრთამი აიღო, მიწის რეფორმის გატარება რა შუაშია? ვანში ჯერ კიდევ დაუმთავრებელი და მოუწესრიგებელია მიწის საკითხი. მალე ზამთარიც დაიწყება და გაისისათვის საქმე კიდევ გაუთავებელი დარჩება, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ამ საკითხისათვის.

X.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით საზოგადოებას ვაუწყო შემდეგი შემთხვევა. მე ვმსახურობდი მე-5 სიღნაღის სანაპირო რაზმში, პირველი ყარაიაზის განყოფილებაში. 13 აგვისტოს ხსენებულ განყოფილების შტაბიდან ბოროტ განზრახველებმა მოიპარეს კამეჩები, იმ დილასვე შეგვიპყრეს მე და ჩემი მხლებელნი ჯარისკაცები, რომლებიც ვიყავით დასაზვერავათ და გავიარეთ შტაბში. ჩვენ დაგვაპატიმრა ბატ. ლეიტ. ხურაძემ. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა მიზეზით გვაპატიმრებენ, ხურაძემ გვიპასუხა: შენ წუხელ აქ ყოფილხარ საათის 12 ტის შემდეგო. რვა დღე და ღამე გაგვატარებინეს დაპატიმრებულთ ცხენების თავლაში. თავლის სუნმა და სიცხემ გლახათ იმოქმედა ჩვენს ჯანმრთელობაზე. იძულებული ვიყავით გვესვა იქვე ჭაობის წყალი, რადგანაც კარგი წყლის მომტანი ჩვენთვის არავინ იყო, რამაც დღეს უკვე ლოგინათ ჩამაგდო. სასტიკ ციებ-ცხელებამ შემიპყრო. როცა მეორე დღეს დამნაშავეებიც და ხელის შემწყობიც სულ სხვა აღმოჩნდენ, ბ. ხურაძემაც კარგათ იცოდა, თუ ვინ ქეიფობდა იმ ღამეს ბოროტ გამზრახველებთან. ბატ. პოლკ. ქარცივაძემაც იხელმძღვანელა ჩემს დასასჯელად შეთხზული ცნობებით. ჩემს თხოვნაზე განთავისუფლების შესახებ, დამიწყო ცილისწამება, რომ შენ მსახურებდი მილიციაში, ყიდდი თოფებს და სხვას. მე მგონია, რომ ასეთი ცილისწამებით და ეჭვებით კაცის უბრალოთ დასჯას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ჩემს მილიციაში სამსახურს, მე მილიციაში სამსახურის დროს მადლობის მეტი არა მიმიღია რა, რასაც მოწმობენ თვით მილიციის მმართველობა და ნავთლუღის მილიციის უფროსი ბატ. ეპიტაშვილი და დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს ბატ. ქარცივაძე, რომ მე ამ საქმის ჩამდენი ვყოფილიყავი, დაუსჯელი არ გადავრჩებოდი, და უმჯობესია თავი დაანებოს ყალბი ცნობებით სარგებლობას და ადამიანისათვის უდანაშაულოდ ტანჯვის მიყენებას.

პავლე ცქიტიშვილი.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

ექიმი
ნ. ა. ყიფშიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა მიღება სად. 4—6 საათ. ოლღას ქუჩა № 6. ტელეფონი 14—08. (2935 5—1)

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 23** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი,** ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმი
ბ. ბ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფო-

ექიმი
გ. ი. ოყროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყ[illegible] საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible])

ექიმი
ა ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 2913—თ.

ექიმი
ი. ა. ლომაური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს საღამოს 7—8 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4— სექტ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლი
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20,

ოზურგეთში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. აჭალის აუდიტორიის ახლოს (2383—თ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

კ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 5—6 ნახ. საათამდე. (2722—თ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმმა
ნიკოლოზ მახვილაძემ
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ღია წერილი სამუელ სიამაშვილს (ოზურგეთში).

ბატონო სამუელ. როგორც იცით ბევრჯერ მოგმართეთ პირადათ და გამოგიგზავნეთ კაცებიც გამომყოლოდით სამედიატორო სასამართლოში ჩვენს შორის არსებულ სადაო საქმის გადასაწყვეტად, შესახებ სახლისა, მაგრამ თქვენ ეს აქამდი არ ინებეთ. ერთხელ კიდევ პრესის საშუალებითაც გთხოვთ გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ბბ. მოსე თალაკვაძეს და გრიგოლ კოპლატაძეს. საქმე უნდა გაირჩეს ოზურგეთში. გთხოვთ დაასახელოთ თქვენი მედიატორეები. ვადას გაძლევ ამ წერილის დაბეჭვდიდან ათი დღისას. უკეთუ ამ ხნის განმავლობაში არ დაგისახელებიათ მედიატორეები, შეძლება მექნება ვიფიქრო და საზოგადოებაც დავარწმუნო, რომ თქვენ გაურბიხართ სასამართლოს.

ქვრივი **კატო სიამაშვილისა.** (2940—1—1)

თფილისის ქალაქის ტრამვაი აცხადებს
საყურადღებოთ, რომ მისგან იცემა იჯარით შემდეგი სამუშაო: სამჭედლოსთან მიშენების კეთება. 2) საწყობის აშენება საცხები მასალებისათვის და 3) ბეტონის სახურავის გაკეთება კოტებზე ზეთის საწყობის)თვის ტრამვაის პარკში. კონდიციების გაცნობა შეიძლება ტრამვაის კანცელარიაში დილის 9—3 საათ. განცხადებების მიღება გაგრძელდება 14 სექტემბრამდე. (2939 2—1)

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ
„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"
იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (2775—10—7)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.